

დასამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
M A R S
1928—№ 27

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მკითაური—უკრაინა.

გაგვიკვლი—ბოლშევიკურ რეჟიმის ლიკვ. მოლოდ.

ვ. ნ.—საჰირბორატო საკითხები.

ვ. გვარჯალაძე—ირლანდიელების ბროლა თავისუფ.

მ. ამირეჯიბი—საბჭოთა საქართველოში.

უცხოეთის ქრონიკა.

რას სწერენ ბოლშევიკებზე.

სამარცხენო ბოძე.

დამსწრე—ქართული უნივერსიტ. დღესასწაული.

კახაბერი—წერილი ვარშავიდან და სხვ.

უ კ რ ა ი ნ ა .

ეს უკანასკნელი თვეები რუსის ემიგრაცია, განუჩევლათ მიმართულებისა, დიდ სიბეჯითეს იჩენს, რათა გამოარკვიოს თავისი პოზიცია არარუს ერთა სეპარატისტულ მისწრაფების მიმართ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ ამ მოვლენას, და ეს მაშინაც კი, როცა რუსის ორატორნი თუ მწერალნი, უმეტეს შემთხვევაში, ვერ იჩენენ ვერც ობიექტივობას, ვერც საკუთარ ერის ინტერესების რიგიანათ გაგებას. მათ საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქოს ერთა სახელმწიფოებრივთ გაყრა უთუოთ მათი ერთი-მეორეზე გადაკიდებას მოასწავებდეს, თითქოს გამორიცხული იყოს მათი შეთანხმება საერთაშორისო ნიადაგზედ, ისეთი შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფდეს სწორათ გაგებულ მათ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

მაგრამ არის გამონაკლისიც ჩვენთან მოდავე რუსებ შორის და ეს მით უფრო საგულისხმეიეროა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ დამსახურებულ რუსის პუბლიცისტთან, როგორიცაა ა. პოტრესოვი (სტაროვერ). მისი გამოსვლა შარშან, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ცალკე წიგნაკით, ნამდვილი მენი იყო რუს მენშევიკურ იდეოლოგიისათვის, რომელიც კიდევ გუშინ, დანის პირით, რევოლიუციას ბოლშევიკურ რეჟიმის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციად აცხადებდა! ჩვენ ხშირათ და სიამოვნებით ვკითხულობთ პოტრესოვის წერილებს... «დნი»-ში და, უნდა ითქვას, ეს გაზეთი ბევრს იგებს მისი მადლიან კალმის წყალობით.

პოტრესოვი ამას წინათ ნ. ჟორდანის გამოცემათა და უძღვნა მის რუსულ წიგნაკს ოთხი ფელეტონი. ჩვენს განზრახვაში არ შედის გავყვეთ მას ამ კამათში და გავსურს მხოლოდ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება პოტრესოვის დამოკიდებულებაზედ უკრაინის საკითხთან. ეს მით უფრო, რომ ის გადაჭრით აღიარებს კავკასიელთათვის «სრულიად

უდაო უფლებას სახელმწიფოებრივ-დამოუკიდებელ არსებობაზე». მართალია, პოტრესოვი ერთხელაც არ ახსენებს ახერბიჯანსა და მთას, სახელეებს მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს, მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ ამ ორი ქვეყნით ზღუდავდეს კავკასიას, რომელზედაც ის ურეზერვოთ ავრცელებს ზევით მოყვანილ მის ფრანს. მის ნაწერებში თქვენ არ გრძობთ ბაქო-გროზნის ნავთის სუნს, რომელიც ასე აბრუებს «დნის» ხელმძღვანელთ და ამხედრებს მათ ჩვენი მეზობლების კანონიერ მისწრაფების წინააღმდეგ. ერთ რამეშიც არა ჰგავს პოტრესოვი მის თანამემამულეთ—არ უკიჟინებს ისე ცალმხრივით არარუს ერთა მოღვაწეთ ნაციონალიზმს, პირიქით, აი რას სწერს ის, სხვათა შორის: არარუსთა «ულტრანაციონალიზმი მხოლოდ ნახევარი უბედურებაა, იგი იქცევა დამთავრებულ უბედურებად რუსების ნაციონალიზმით».

მაშ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას. მე ორი სულ სხვადასხვა საზომი მაქვს, ერთის მხრით, საქართველო-სომხეთის მიმართ და, მეორეს მხრით, უკრაინის მიმართ—აცხადებს პოტრესოვი, და განმარტავს, რომ რუსები და უკრაინელები, მიუხედავთ «ეთნიურ სხვადასხვაობისა» (რანსიონდნოსტ), დიდი ხანია ცხოვრობენ «ერთი მთლიან რუსული კულტურით», ორივეს შეუტანია მასში თავისი წვლილი და თვით რუსულ მწერლობას ჰქმნიდენ «ველიკორუსი პუშკინი და მალორუსი გოგოლიო». პოტრესოვი უფრო შორსაც მიდის: უკრაინის გამოთიშვა რუსეთისგან «ნამდვილი ვერაგული ლახვარია უკანასკნელის გულში», და ასკვნის, რომ «რუსეთის ჩრდილოეთი უსამხრეთოთ ვერ იარსებებს, ისე როგორც წინაუკმოლო».

ჩვენ ვერ წარმოგვედგინა ასე ტრალიკულათ საქმე! ვითომ რატომ არ შეუძლია რუსეთს უუკრაინოთ არსებობა. ან კიდევ უკრაინას ურუსეთოთ? ვინ დამტკიცა ეს? როდის? პოტრესოვს არ მოჰყავს ამის საბუთები, ციფრები ეკონომიურ თუ სხვა სფერო



დან, და მით ჩვენც გვანთავისუფლებს ამ მოვალეობისაგან. მაგრამ ეს არ გვიშლის საზგასმით ვთქვათ, რომ რუსეთი უუკრაინოთაც უგრცესი და ბუნებით უმდიდრესი სახელმწიფო დარჩება მთელს მსოფლიოში. აბა რა აკლია მას: მიწის ზედა თუ ქვედა სიმდიდრე? ხორბალი თუ მადნეულობა? ტყეები თუ რკინა? სელი თუ ნახშირი? ოქრო თუ ძვირფასი ბეწვეულობა? საძოვარნი თუ მდინარენი? ერთი სიტყვით. საკმარისია თვალი გადაავლოთ რუქაზე: შუა და ჩრდილო რუსეთს, ვოლგის უღეველ ველებს, ურალს, ციმბირს, შორეულ აღმოსავლეთს, რომ პირდაპირ, განცვიფრებაში მოხვიდეთ რუს მოღვაწეთა წუწუნით, თითქოს ისინი გერებად გაუჩენია ღმერთს!

რუსის ხალხი ღარიბია, მართალია, არსებობს დიდი კონტრასტი ბუნების სიმდიდრესა და მის ეკონომიურ მდგომარეობას შორის, ვერ გამოუყენებია მყავსადიკ არსებულ შესაძლებლობათა, ტენიკურათ ძალზე სუსტია, პოლიტიკურათ ჩამორჩენილი... მაგრამ ვგ ხომ სხვა საკითხია, თვითნებულ ერს აქვს თავისი ისტორია, განვითარების ტემპი, უნარი შეთვისებისა, შემოქმედებისა. ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ასე დარჩება და არ არის უკეთესი პერსპექტივები. პირიქით, სრულიად უდაოა, რომ რუსის ერთი დიდი დარჩება მომავალშიც არა მარტო რაოდენობით, არამედ ღირსებითაც. მაგრამ ამისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, რომ მან იკმაროს, ვთქვათ, დედა-მიწის მეშვიდე დი, იმუშაოს ამ ისედაც ვება ტერიტორიაზედ. ესლა ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ რუსის ხალხის ჩამორჩენის ერთ ერთი მთავარი მიზეზი რომანოვების იმპერიალისტური ავანტიურები და მტაცებლობა იყო.

რაც რუსეთზე ვთქვით, იგივე ითქმის, დაპატარავებული მანშტაბით, უკრაინაზეც. მას დიანაც შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, არ აკლია ამისათვის არც უნარი, არც საშუალება. სიანტერესოა, რუსები საზოგადოთ არც კი დაობენ ამაზე და მხოლოდ იმას სჩივიან, რომ უკრაინის წასვლით მათი ეკონომიური მდგომარეობა შეირყევა. როგორც მაგალითი, მათ მოჰყავთ უკრაინის ხორბალი, რომელიც გააქვთ როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ რუსეთს შეუძლია ჰქონდეს საჭირო საკუთარი ხორბალი—ციმბირი უღეველი რეზერვუარია ამისათვის—, მაგრამ ვინა სთქვა, რომ დამოუკიდებელ უკრაინას არ შეუძლია პური შეიტანოს რუსეთში? ვგ ხომ უბრალო საეპრო შეთანხმების საქმეა! ჩვენ გვგონია, რომ ორი ქვეყნის ვაყო უკრაინაშიც გამოიწვევს ბევრ სინღელეთ, პირველ ხანებში. მოხდება საწარმოვო ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება, სამრეწველო და სააღმშენებლო ცენტრების გადაწვე-გადმოწვევა, საჭიროა განდება განსაზღვრული დრო პოლიტიკურ ცვლილებებით გამოწვეულ მრავალ უხერხულობათა დასაძლევათ. მაგრამ განა რომელ ერს დაუთმია თავისუფლება ამ უხერხულებათა გამო?

და აი, სწორეთ აქ წამოგვიდგება წინ პოტრესოვის მეორე არგუმენტი: ის უკრაინელ ხალხს ერად

არ სთვლის! ამას ის ხელდადებით არსათ ამბობს, მართალია, მაგრამ სხვა დასკვნის გაკეთება თითქოს შეუძლებელია მის მსჯელობიდან. უკრაინელი პოტრესოვისთვის «ეთნიურ სხვასხეობას» წარმოადგენს, მაგრამ ამ თვისებას. ის იმავე წინადადებაში «ერთ მთლიან რუსულ კულტურაში» ლესავს. აქრობს. ჩვენ არ უარყვოდთ, რასაკვირველია, რომ გოგოლი რუსეთის დიდი მწერალი იყო, მაგრამ არ გვეგონა, რომ ამით უკრაინელის რუსობა მტკიცდებოდა. გვაგონდება რუსეთის სათათბირო, სადაც მისი თავმჯდომარე როდნიანკო, სკოროპადსკი, კანისტი თავს «მალოროსებად» ასაღებენ და უარყოფდენ უკრაინელ ერის არსებობას. მაშინ გამოვიდოდა ხოლმე ტრიბუნაზე «ველიკოროსი» მილიუკოვი და ლექციას წაუკითხავდა მათ იმის შესახებ, რომ უკრაინელნი ენით, მწერლობით, ხელფენებით დიდათ განირჩევიან რუსებისაგან. ეს გახლდათ ის დრო, როცა «წმინდა რუსეთში» აღკვეთილი იყო უკრაინული ენა სკოლაში, პრესაში, საზოგადოთ მწერლობაში, სახელმწიფო და საერობო დაწესებულებებში, ეკლესიაში.

მდგომარეობა ძირიან-ფესვიანათ შეიცვალა მას შემდეგ. ბლოშევიკებმა იძულებით გახდენ ეცნოთ უკრაინული ენა და ღღეს იგი გაბატონებულია უკრაინაში, იმდენათ გაბატონებული, რომ რუსები სჩივიან მათი ენის შევიწროებას! უკრაინული უნივერსიტეტი, სამეცნიერო აკადემია ფაქტია. ჩვენს თვალწინ სწარმოებს უკრაინის ხალხის ნამდვილ თანამედროვე ერად ჩამოყალიბების უშესანიშნავესი პროცესი. ბლოშევიკებმა წააგეს ჭკუა: მათ ახსნეს ისეთი ძალები, რომლის დაბმა მათ უკვე არ შეუძლიათ. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ გამოჩენილმა სოციალდემოკრატმა და ჩინებულმა რუსმა პოტრესოვმა იკისროს ეს უმადური ხელობა. ის მიხედება; ადრე თუ გვიან, რომ «ერთი მთლიან რუსულ კულტურის» დრო წავიდა; იწყება ახალი ხანა განცალკევებულ უკრაინულ კულტურისა, რომელიც გვერდში ამოუდგება, როგორც თანასწორი თანასწორს, რუსულ და სხვა ერთა კულტურას.

ხოლო როცა ეროვნული კულტურა არსებობს და არის აგრეთვე სხვა ხელსაყრელი პირობებიც: ეკონომიური, პოლიტიკური,—მაშინ ცხადია, ერი ასაკში შესული და იბრძვის სახელმწიფოებრივ არსებობისთვის. ეს არ სჯერა პოტრესოვს: მე არა ვარ იმდენათ გულუბრყვილო, რომ უკრაინელ ინტელიგენციის სეპარატიზმი უკრაინის მრავალ-მილიონიან მეურნე ხალხს მივაწეროვო—ამბობს ის. ჩვენ სშირათ გვესმის ასეთი არგუმენტი გაბატონებულ ერის ნაციონალისტებისაგან, არ ველოდით პოტრესოვისაგან! მაგრამ ეს ფაქტის საკითხია და მას ისიც კი უწევს ანგარიშს. პოტრესოვი ინაწილებს მარსელის რენოლიუციას, რომელიც ალიარებს უკრაინის უფლებასაც თვითგამორკვევისა. მაშასადამე, ჩვენ თამამათ შეგვიძლია დავტოვოთ ის მის ტკბილ ოცნებაში, რომ უკრაინის «მეურნე ხალხი» არ ისარგებლებს ამ უფლებით! ასეთი სასწაული არ სჩვევია ისტორიას, უკრაინა ვერ განდება გამონაკლისი სხვა ერთაგან, ვერ აცდება მათ გზას. დაგუშვათ შეუძლებელი, რომ რუსის ერმა დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკი-



დებლობა, რას იტყვდა პოტრესოვი? ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ერთი მაინც უდაოა: ის უკეთ დააფასებდა ერის მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი.

ამას ვერ ვხედავთ, სამწუხაროთ, მის უკანასკნელ მოსაზრებაშიც, ვითომ ერთა სახელმწიფოებრივთ გაყრა რეგრესიული მოვლენა იყოს. პოტრესოვი ივიწყებს, რომ მრავალ პატარა სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად ჩვენ მოწმე ვართ მძლავრი საერთაშორისო მიმდინარეობისა თავისუფალ სახელმწიფოთა ურთიერთ შეთანხმება-დაახლოებისათვის, ეკონომიურ-ფინანსიურ და პოლიტიკურ ასპარეზზედ. არსებობს ერთა ლიგა და მისი უთვალავი ორგანიზაციები, იმავე მიზნის მისაღწევათ. მაშასადამე, უკვე შორს არ არის ის დრო, როცა გამონახული იქნება ისეთი მოდუსი, რომელიც უზრუნველჰყოფს, ერთსა და იმავე დროს, თვითუფლ ერის თავისუფალ განვითარებას და მთელი კაცობრიობის სოციალ-ეკონომიურ და ინტელექტუალურ წარმატებას.

მაგრამ უკრაინა პატარა ერიც არ არის, მას რად უნდა შეაფაროს მან თავი სხვის სახელმწიფოს?!

პოტრესოვი ამბობს ერთ ადგილას: მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა «დაჰკლეს რევოლიუცია, წაბილ-

წეს დემოკრატია» და ერთა ფედერაცია «ისტორიაში გაუმეორებელ პროვოკაციად» აქციეს,— არარუს ერებს «დიანაც შეუძლიათ ჰკითხონ თავის თავს, რას უშნადებს მათ ხვალინდელი დღე». ჩვენ დიდის კმაყოფილებით აღვნიშნავთ პოტრესოვის ამ ღრმა დაკვირვებას. ბოლშევიზმი მართლაც მთელი ჩუპოქა ყოფილ იმპერიაში მცხოვრებ ერებისთვის, მათ ბევრი რამ ისწავლეს ამ ათი წლის განმავლობაში, ვაჰქრა მათ თვალში, პოტრესოვის ფრაზა რომ ვიხმაროთ— «რუსულ საზოგადოებრივ მოძრაობის ადრინდელი პრესტიჟი»... ეს არ არის არც რუს და არც არარუს ერთა ბრალი, მათ უკეთ დაინახეს ერთმანეთი და იგრძნეს, რომ მათი გზები გაიყარა.

მაგრამ ვგსულაც არ ნიშნავს, რომ ისინი მტრები უნდა დარჩენ ერთმანეთის. არას შემთხვევით! ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, ისინი უფრო ადვილათ გამონახვენ საერთო მეგობრულ ენას და მიადწევენ, იქვს გარეშეა, ისეთ ურთიერთ განწყობილებას, რომელიც მოგვეცემს მაქსიმუმს შესაძლებლობათა თვითუფლის უადრეს დაწინაურებისთვის და ყველას მიერ საკაცობრიო იდეალების სამსახურისთვის.

მოდემკვიკუტ ტეჟიმის ლიკვიდაციის მოღოდინმი.

ამ ბოლო ხანს რუსეთის ემიგრაციას გამოცოცხლება ეტყობა. გამოცოცხლება არა გარეგნული, გარეგნულათ იგი მუდამ მოძრავი იყო: კონგრესები, კონფერენციები, უთვალავი ორგანიზაციები, მოხსენებანი, დაუსრულებელი სხდომები, ორატორული შეჯიბრება, პრესაში შეუწყვეტელი კამათი; ამ მხრივ მისი ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა. მხოლოდ დღემდინ ეს ცხოვრება იმდენათ იყო მოწყვეტილი დღევანდელი რუსეთის ვითარებას, რომ გარეშე მკუთრეგლი იღებდა შთაბეჭდილებას, თითქოს რუსეთი არ არსებობდა ემიგრაციისათვის და ეს უკანასკნელი რუსეთისათვის; ერთ სტყვით ორი სხვა და სხა ქვეყანა, თავის საკუთარი ინტერესებით, საკუთარი პსინოლოგიით, საკუთარი გულის და მაჯის ცემით. რა იყო მთავარი მიზეზი ასეთი, ჩვენთვის, ქართველებსათვის, წარმოუდგენელი მოვლენისა?

შავი უიმედობა და მიძიმე პესიმიზმი, რომელიც ახასიათებდა რუსეთის მთელ ემიგრაციას და განსაკუთრებით მის მემარცხენე წრეებს.

ასეთი სულის კვეთება თუ გნებავთ ერთნაირათ დასაბუთებულად იყო. რუსეთის სამოქალაქო ომის ისტორიაში ამ ქვეყნის მოწინავე დემოკრატიისათვის ორ დიდ მნიშვნელობის დატას ქონდა ადგილი: დამფუძნებელ კრების გარეკვას და კრონშტატის მარცხს; ორივე ეს მომენტი უდიდესი გამოცდა იყო სოციალისტურ პარტიებისათვის და ამ გამოცდებში იგინი სასტიკად დამარცხდენ—ხალხის ფართე მასები ამ ბრძოლაში მათთან არ აღმოჩნდენ—აქედან იწყება ამ წრეებში სულიერი გადატენა, ბრძოლის იარაღის ხელიდან გაგდება და მათი საქმიანობის ცენტრის ემიგრაციაში გადმოტანა.

«ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა», თითქოს სთქვა რუსეთის საზოგადოებრივობამ

და მიანება საპარპაშოთ ეს უდიდესი იმპერია ლენინს და მის შტაბს და თვითონ განხე ვადგა. «ბრიყვი-მაც» აშით სავსებით ისარგებლა. ათი გრძელი წელი თარეშობს იგი აღვირწახსნილათ რუსეთის ტერიტორიაზე და დღეს, როცა მან «შეყარა სენი» ამ ერთ დროს უდიდესს სახელმწიფოს და სიკვდილის კარებამდე მიიყვანა იგი, რუსული ემიგრაციაც გამოცოცხლდა და რუსეთზე იწყებს პრაქტიკულად ფიქრს.

ნუთავინ იფიქრებს, რომ ეს თავის ქვეყანაზე «პრაქტიკულად» ფიქრი, ნორმალური წესის და შინაარსის იყო. ესლაც ისე, როგორც წინეთ, მას სპეციური რუსული თავისებურობის დალი ასვია. პოტენციალურათ რუსის ხალხის ცხრა მეათედი რეჟიმის გადასადგებათ მზათ არის, მას არა ყავს მხოლოდ ხელმძღვანელი, ორგანიზაციულად მომწყობი ძალა. გლეხობის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს კომუნიზმის დაუყონებლივ ლიკვიდაციას. ქალაქი დამშეულია, მუშათა კლასი მორალურად გატეხილი, პოლიტიკურად დამონებული, ეკონომიურად გადატაკებულია. ორ მილიონიანი უმუშევართა არმია, დღემდის სუბსიდიებით მოთრეული სულმდაფავი წარმოება; საშინელი ფინანსიური კრიზისი... ყოველივე ეს მოქორილი ამბავი როდია. ეს მხოლოდ სინამდვილის მკრთალი ლანდია; ბა გადახედეთ ყველა ქვეყნის გაზეთებს! თვით ბოლშევიკური პრესაც ვერ მალავს ამას.

როგორი უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში მოქმედების გეზი ყველა იმ პარტიებისა, რომელნიც ხვალინდელ დღეზე ფიქრობენ? იმ წრეებისა, რომელნიც პასუხის მეგებლობას გრძნობენ? იმ პოლიტიკურ ჯგუფებისა, რომელთაც მომავლის იმედი არ დაუკარგავთ? აქტიური ჩარევა ამ პროცესში; ხელში აღება ინიციატივის დაგროვილ ასაფეთქებელ მასალის და-

ლაგების საქმეში, რომ ამით სტიქიურ აფეთქებას არ ექნეს ადგილი, ან კიდევ ანტიდემოკრატიულ უკიდურესობამ არ იჩინოს თავი.

ამის მაგიერ კვლავ პასივობა, კვლავ შიში, ვაი თუ მოქმედი არ დარჩეს მოზომილი, ამიტომ შიდა რუსეთში დაწყებულ პროცესს ხელი არ უნდა ეხლოს. ასეთია უმაღლესი სიბრძნე რუსეთის მოწინავე პარტიების «მოქმედების» გეზისა. როგორც ხედავთ, აქ ისარჩქარობს; ზომაზე მეტად დინჯია და მომთმენი.

ამავე დროს რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ძლიერ ნერვიულობს ეროვნებათა საკითხის გამო და აქ ცენტრში საქართველოა. საერთოდ ჩვენ, ქართველებს, ამაში ბედი გვეწყალობს. აბა რამდენი მეღანი დაიხარჯა ამ ბოლო ხანს ჩვენთან კამათში. კერესსკის მიერ გამართულ საჯარო სხდომებზე ხომ საქართველო ეკერა ყველა რუს ორატორებს ენაზე; საქართველოს პოლიტიკა მის თავისუფლებისა და მას შემდეგ კრიტიკის ქარ-ცეცხლში იქნა გატარებული. ამაზე ღირს ცოტათი შევჩერდეთ. საქირთა ჩვენმა მკითხველმა საქართველოში სრული წარმოდგენა იქონიოს იმ სულის კვეთებაზე, რომელიც რუსის ზოგიერთ წრეებში არის დღეს გამეფებული.

არ ვიცი, რა სახელით მოინათლება ეს სულის კვეთება? სიძულვილი, გაჯავრება, შური, გაბორბლება? სრული მიუდგომლობა რომ დავიცვათ, უნდა აღვიაროთ, არც ერთი ეს კვალიფიკაცია თვითთულადაც არ გამოხატავს სავესებით იმ რთულ განცდას, რომელიც მოურიდებლად, ზოგჯერ სასტიკად და ტლანქად, თითქმის ყველა მოლაპარაკემ გადაშალა ჩვენ თვალ წინ. თუ გნებავთ, აქ იყო ყველა ამითგან შეხვედრული მეტად რთული გრძობა, რომელსაც თან ახლდა ერთნაირად მეღანქოლიური მწუხარებაც.

ცალკე ინციდენტი, ან რომელიმე მომენტი ქართველობის საზღვარგარეთ გამოსვლისა—ეს მხოლოდ აქსესუარია, უბრალო მომიხეზება, საბაბი, არც მეტი, არც ნაკლები. მთავარი საგანია თვით საქართველო და მისი ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენათ, აი რა იწვევს თავდასხმებს; და მერე როგორ თავდასხმას? გააფთრებულს, დაუზოგველს, შეურიგებელს. ვისაც ეს არ სჯერა, მას შეუძლია გაცნოს ამ, ყოველმხრივ საინტერესო კამათს.

აქვს თუ არ საქართველოს უფლება მოაწყოს თავის ცხოვრება თანახმად თავის სურვილისა? არის თუ არა ერი სუვერენი, თვით განაგოს თავისი ბედი? არა და არა, გვიპასუხებს მომხსენებელი სოციალისტ რევოლიუციონერი ვიშნიაკი. საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს ნაციონალისტურ ინტელიგენციის გამოგონებაა; რევოლიუციამდე საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა; დღესაც იგი მისი ნაწილია და მის (რუსეთის) ფარგლებში უნდა დარჩეს. რუსეთთან ფედერატიულ კავშირში, აი დასაშვები ფორმა ამ ორ ხალხთა ურთიერთობისა. მოკლეთ და გასაგებათ: გინდათ თუ არა, ჩვენთან უნდი იყვით. წახვალთ. და დაგიპყრობთ.

საქართველო ხომ თავისუფალი იყო, მან ამ სახით იარსება სამი წელი; დამფუძნებელი კრება, ერის სუვერენული ორგანო ერთმნათ დაადგა ამ გზას... გარეშე ძალთა (ინგლისელთა და ოსმალების) მახინა-

ციაა ყოველივე ეს, გაჯავრებულათ გვიპასუხებს მომხსენებელი.

მარსელის კონგრესის დადგენილება, ევროპის სოციალისტების მიერ დაპყრობილ საქართველოს უფლების აღდგენის სოციალისტურ სინდისის საქმეთ გამოცხადება, ჩვენ ამას პროტესტს უცხადებთ. ეს სხვის ხარჯზე ხელგაშლილობაა, ვინ მისცა ავსტრიელ ოტტო ბაუერს და ფრიც ადლერს, ანაწილან რუსეთი, გრიალებს ვიშნიაკი. ეს არ გახლავთ კარიკატურა, ეს გახლავთ კეთილ სინდისიერათ გადმოცემული მისი მოხსენების შინაარსი.

მერე ვინ არის ვიშნიაკი? ვისი სახელით ლაპარაკობს იგი? რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია ამ აზრს არ იზიარებს, იგი მარსელის კონგრესს არ ებრძვის. ის სცნობს ერთა თვით გამორკვევის უფლებას; ის იარაღით მას არ ებრძვის. ს. რევოლიუციონური პარტიაც ფორმალურათ ამ ხაზზე სდგას. «არაფერი ტრალიკულათ არ უნდა მივიღოთ, მაგრამ ყოველ მოვლენას სერიოზულათ უნდა მიუდგეთ», სთქვა ტიერმა. მართლადაც, ვიშნიაკი და ვანო «დნის» დემონსტრაციამ ტრალიკული არაფერია, მაგრამ თვით ეს მოვლენა დამახასიათებელია.

ნურავინ დაგვწამებს, რომ ჩვენ ვთვით ეროვნებათა შორის უფლსა და მტრობას. არც ის გვინდა, რომ მებრძოლი ქართველი ხალხი ავამხედროთ რუსეთის დემოკრატიის რომელიმე ჯგუფის წინააღმდეგ. ჩვენ ძლიერ კარგათ გვესმის, რომ დემოკრატიულ წრეებში საქართველოსადმი სიმპატია და მეგობრული განწყობილება ბევრად გაუადვილებს ქართველ ერს მისი ინტერესების რუსის ხალხის ინტერესებისაგან უმტკივნეულო გამოიჯვანას; ჩვენ არც ის გვავიწყდება, რომ ამ ორ ერთა გადაკიდება და ბრძოლაში ჩამბმა დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენი ხალხის მომავალს; მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ პატარა საქართველო რუსეთის ვენებაზე არ ფიქრობს; რომ იგი მხოლოდ თავის თავს იცავს; რომ იგი არავის ესხმის და მით უმეტეს რუსეთს.

ეს ხედავთ, მაგრამ ეს არ კმარა. საქირთა რუსეთის დემოკრატიის წარმომადგენლებმა შეიგნონ ეს და ეს შეგნება დაუდვან სარჩულათ თავიანთ დამოკიდებულებას ჩვენთან.

«დნის» კამათი ასეთ შეგნებას არ მოწმობს. პირიქით იმან ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციის მოლოდინში, ბევრს და მათ შორის ზოგიერთ სოციალისტურ წრეებსაც სურვილი აქვთ დააკანონონ მოსკოვის ტირანიის საქართველოს მიმართ ჩადენილი დანაშაული. მერე შესძენს არსებობათ ასეთი ცდა მათ რამეს? მე მგონია არაფერს. მორალურათ და პოლიტიკურათ ისინი დაჰკარგავენ ბევრს და ახალ ზედმეტ მტერს კი შეიძენენ.

განა ისე ძნელია იმის გაგება, რომ რაც ქართველმა ხალხმა ბოლშევიკების ხელიდან არ მიიღო, ამას ის არასოდეს არ მიიღებს იმათ მხრითაც, ვის გვერდით მან წლები იბრძოლა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ? ვინც ისტორიის ჩარხის უკან მობრუნებას ლამობს, იგი ცუდ სამსახურს უწევს კაცობრიობის წინსვლას და თავის თავსაც.



ს ა ჭ ი ბ ბ რ ე ტ ე ს ა კ ი თ ხ ე ბ ი .

მე არ მინტერესებს სიტყვების რაზარუხი და ქადაგება, რადგან საქმე მაქვს სინამდვილესთან და მასთან დაკავშირებულია ის საქირბოროტო საკითხები, რომლის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ საქართველოს პირობებში, სადაც სახელმწიფოებრივი წესწყობილება შესაძლებლობას მისცემს, როგორც თვით მთავრობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ისე კერძო პირებსაც თავისი მეურნეული უნარიანობა გაშალონ, განავითარონ და გამოიყვანონ ქართველი ხალხი იმ დუხჭირ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი დღეს არის ჩავარდნილი. მრავალ საქირბოროტო საკითხთა შორის, რომელიც დღეს ქართველ ხალხს განსაკუთრებით აწუხებს. მე შევეხები აქ მხოლოდ რამოდენიმეს და იმედია მკითხველი მოთმინებით და გულდასმით ჩაუკვირდება აქ დახატულ სინამდვილეს;—ეს სინამდვილე, მართალია, მოცემულია ბოლშევიკურ ციფრებში, მაგრამ მით უარესი მდგომარეობისათვის, რადგან ხომ იცით, რომ ბოლშევიკებს თვალებზე ვარდისფერი სათვალეები აქვთ და ყველაფერს დიდის სიხარულით უქტერებენ. აბა, როგორ არ გაიხარებენ, როდესაც «სოციალიზმს» ამყარებენ; რა ვუყოთ რომ ეს სოციალიზმი სიღარიბისაა, და ასე არ ესმოდა ეს მათ პაპს მარქსს, რომელსაც უგზურათ ათრევენ ჩვენს ოღრმოდრო ტლაპოიან გზებზე!

სახანავ-სათესი მიწა. საქართველოს ტერიტორია შეიცავს 6.952.300 ჰექტარს ანუ 69.523 კვადრ. კილომეტრს. სასოფლო-სამეურნეო მიწის რაოდენობა უდრის 1.425.600 ჰექტარს ანუ მთელი ტერიტორიის 20,5 პროც. გამოუსადეგარი მიწის რაოდენობა კი უდრის მთელი ტერიტორიის 18,8 პროც. სასოფლო-სამეურნეო მიწის რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში წარმოადგენს—25,3 პროც., დასავლეთში—20,6 პროც., აფხაზეთში—10,9 პროც., აჭარაში—7,9 პროც. და სამხრეთ-ოსეთში—7,6 პროც. სახანავ-სათესი მიწა იყოფა: სარწყავ და ურწყავ მიწათ. სარწყავ და ურწყავ მიწათ. სარწყავ სახნავების რაოდენობა უდრის 115.300 ჰექტარს, აქედან 97.200 ჰექტარი აღმოსავლეთშია და 18.100 ჰექტ. დასავლეთში ანუ ხუთჯერ მცირე. ურწყავ სახნავების რაოდენობა უდრის—1.080.400 ჰექტარს, აქედან აღმოსავლეთშია 651.100 ჰექტ. და დასავლეთ საქართველოშიც—429.300. მთელს საქართველოში საშუალოთ თითო კომლზე მოდის 2.87 ჰექტარი, აქედან სარწყავი 0.28 და ურწყავი 2.59. ანუ თვითველ მცხოვრებზე მოდის სახანავ-სათესი მიწა სულ—0.58 ჰექტარი ანუ 1274 კვადრ. საყენი. მაზრების მიხედვით სურათი შემდეგნაირია: თფილისისა და ახალქალაქის მაზრაში მოდის თითო კომლზე 1.1 ჰექტარი სახნავი, ბორჩალოში—0.9, სიღნაღის—0.8, გორის, დუშეთის და თელავის—0.7, ზუგდიდის—0.6, აფხაზეთში, ახალციხის და სენაკის მაზრებში—0.5, ქუთაისის და ოზურგეთის—0.45, სამხრეთ ოსეთში და შორაპნის მაზრაში—0.3, ლეჩხუმის, რაჭის და სვანეთის მაზრაში—0.25 და აჭარისტანში—0.2 ჰექტარი). ასეთი არის ის მწარე სინამდვილე, რომელიც საქართველოში არის გამეფებული და ის საქირ-ბოროტო

საკითხი, რომელიც ქართველ ხალხისათვის საბედისწერაა და ესაა: მიწის, სახანავ-სათესი მიწის უდიდესი სიჭირბოლო: თვითველ მცხოვრებზე მოდის მხოლოდ 1274 კვადრატული საყენი! და ესეც იმ სამეურნეო-კულტურულ დონეზე, რომელიც ჩვენში გამეფებულია, სადაც მიწის ინტენსიური დამუშავება, კულტურული მოხმარება ძლიერ დაბალ ხარისხზეა. ამიტომ გასაკვირველი არ არის ის საქირბოროტო მოვლენა, რომ საქართველოში გლეხობის 44,2 პროც. არ ყოფნის პურეულობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტია, თავისით შეუძლია გამოიკვებოს თავი მთელი გლეხობის მხოლოდ 46,4 პროც. და მეტი მოსდის ვინემ ეს მას სჭირდება, და ისიც როგორც ღარიბულ პირობებში!—მხოლოდ 9,4 პროც. *). უბედურება კიდევ მეტია: მთელს საქართველოში მეურნეობათა 12,8 პროც. სრულიად მოკლებულია ყოველგვარი სახის საქონელს, მეურნეობათა 37,3 პროც. არა ყავს მუშა საქონელი და მეურნეობათა 21 პროც. არა ყავს არც მუშა და არც მეწველი საქონელი. მეურნეობათა 40,8 პროც. მოკლებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. ასეთი არის ბოლშევიკური ცნობები ჩვენი მეურნეობის საშინელი მდგომარეობის შესახებ! სიღატაკე წარმოუდგენელი და საქირბოროტო საკითხი: პირდაპირ თავსამტკრევი! მაგრამ ამას კიდევ ზედმეტი საშინელება ემატება: 1900 წელთან შედარებით ანუ სამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, სახანავ-სათესი მიწის რაოდენობა შემცირებულია, მას დაუკლია 228.000 ჰექტარით. მიწა გამოფიტულია და იგი საბალახოებათ გადაუქცევიათ. და ასეთ მიწის ნაკლებობის დროს, როდესაც ქართველი გლეხი მიწით შიმშილობს და მას საკმელი არ გააჩნია.—ქართველი ბოლშევიკები სამოთხეს ამყარებენ და მეზობელ ქვეყნებიდან საქართველოს მცირე ტერიტორიაზე სხვებს ეპატიყებიან! უგზურება და მოღალატეობა თავის მშრომელ ხალხისადმი ამაზე შორს ვერ წავა.

სასოფლო საბალახოები და საძოვრები. სასოფლო საბალახო არის კარზე საბალახო, სადაც შინაურ საქონელს ეძლევა საკვები. კარზე საბალახოს რაოდენობა საქართველოში უდრის 781.400 ჰექტარს ანუ მთელი ტერიტორიის 11,2 პროც. ყველაზე მეტი საბალახო აქვს სიღნაღის მაზრას—109.200 ჰექტარი, ყველაზე ნაკლები გურიას—9,500 ჰექტარი. აღმოსავლეთი საქართველო ამ მხრივ უფრო მდიდარია დასავლეთზე—სამჯერ. 1900 წელში სასოფლო-საბალახობის ფართობი უდრდა 380.200 ჰექტარს, ესაა კი უდრის 781.400 ჰექტარს,—ასეთი ზრდა საბალახოების დიდად მავნებელია; იმის მაგივრათ, რომ იზრდებოდეს სახნავი მიწა, იზრდება საბალახო, მაშინ როცა საქონლის კვება, როგორც ეს სხვაგანაა, ბაგაზე უნდა ხდებოდეს. მაშასადამე, მიწის კულტურულათ მოხმარა ეს ისეთი დიდი საკითხია საქართველოში, რომ ჩვენი გლეხისათვის საარსებო მხარეა,—აქ, ამას ვერ უშველის სოციალიზმზე ყვირილი,

*) იხ. «საქ. ეკონ.» № 7. **) იხ. «ს. ეკ.» № 8-9, გვ. 61.

არამედ მოქმედება გლეხის კულტურული მეურნეობის ამაღლებისათვის, რის უნარსაც ბოლშევიკები, რასაკვირველია, მოკლებულნი არიან, როგორც ეს მათ უკვე დაამტკიცეს.

საძოვრების ფართობი მთელ საქართველოში უდრის—საქართველოს მთელი ტერიტორიის 24.9 პრ. ანუ ამ ტერიტორიის ერთ მეოთხედს. ამგვარათ, საძოვრების ფართობი მეტია სახნავ-სათეს მიწაზე 4 პრ. სახაფხულდ საძოვრები უდრის 717.00 ჰექტარს, სახამორსი კი სამჯერ ნაკლებია. მაგრამ როგორ მოუწყობელია საძოვრების საკითხები? ჩვენში მეცხვარეობას მისდევს შვიდი ათასი მოსახლე და იგი აცხოვრებს 40.000 სულს მობინადრეს^{*)} და მთელი შემოსავალი მეცხვარეობისა უდრის არა ნაკლებ 10 მილიონ მანეთს, მაგრამ რა? «ჩვენ მეცხვარეობას შეეძლო უფრო მეტი შემოსავლის და სარგებლობის მოტანა მინამ მას მოაქვს, უკეთუ მას საკვები მასალა კარგი და ბლომად ექნებოდა, მაგრამ ჩვენი საძოვრები ამჟამად ვერ აძლევენ ცხვარს საჭირო რაოდენობით კვებას»-ო, ამბობს ა. ჯეელიშვილი^{**)}. რა მოხდა? მოხდა ის, რომ ყარს-არდაგანის რაიონის საძოვრები ბოლშევიკებმა ოსმალეთს ჩააბარეს. აჩუქეს და მართლ ახალქალაქის მაზრის საძოვრებს ჩამოეჭრათ 18.400 დესეტინა «და ისედაც შევიწროებული ჩვენი მეცხვარეობა უარეს მდგომარეობაში ჩავარდა»,—და ეს არის ბოლშევიკური სახელმწიფო პოლიტიკისა და მეურნეობის შედეგი...

მე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა. მაგრამ ცხვარმა თქვენი ქირი წაიღოს. უბედურებაში და უფრო მეტს უმედურებაში არის ჩვენი მევენახეობა. 1900 წელში საქართველოში ვენახს ექირა 66.000 ჰექტარი, დღეს კი უქირავს მხოლოდ 37.500 ჰექტ. ანუ ვენახთა სივრცე თითქმის განახევრებულია; საქართველოში, სადაც ვენახის კულტურა უძველესია და ცნობილი, დღეს ასეთ სავალალო მდგომარეობაშია (აღმოსავლეთ საქართველოში ვენახის მრეა—18.600 ჰექტარი, დასავლეთში კი 15.900 ჰექტ. მარტო შორაპნის მაზრაში 7.100 ჰექტარი); რით აიხსნება მევენახეობის ასეთი დაცემა? იმ ფისკალური ზომებით, რომელსაც საბჭუთო მთავრობა ვენახის წინააღმდეგ მიმართავს,—აბა, რით იხიროს ვოლკამ, თუ ვენახს შიშვე გადასახადები არ დაადევს? ეს საშინელება აღნიშნა თვით ბ. ორახელაშვილმა რამოდენიმე წლის წინათ, მაგრამ აქედან რა გამოვიდა.—აუცილებელია ხომ სოციალისტური ვოლკის გაძლიერება?! და მოსკოვის ფინიებს სად შეუძლიათ წკმუტუნის მაგივრათ ყფა მაინც ასტეხონ?

თ ა მ ბ ა ქ ო. მაგრამ უარეს მდგომარეობაშია საქართველოს მეორე კულტურული საქონელი. 1926 წ. საქართველოში თამბაქოთი დათესილი არე უდრიდა 11995 დესიატინას, აქედან მარტო აფხაზეთში იყო დათესილი 9800 დეს. როგორც მოგვხსენებთ, აფხაზეთი თამბაქო მაღალი ხარისხისაა, მაგრამ «თამბაქოს მრეწველობის პროდუქციაზე დადებული სააქციო განაკვეთები რეალურ საფრთხეს ჰქმნის ჩვენი მეთამბაქოების განვითარებისათვის და მისი ხანგრძლივი მოქმედება უსათუოდ შედეგათ მოგვცემს მეთამბაქოების პროდუქციის საერთო შემცირებას და

მისი ხარისხის საბოლოოდ დაცემას»-ო—სწერს ბ. ალ. ჭუმბურიძე^{***}). როგორი არის აქციები? 1914 წ. პირველი ხარისხის პაპირსებზე სააქციო განაკვეთი უდრიდა 2 მ. 90 კ. ესლა კი უდრის 6 მ. 85 კ. ანუ აქციები აწეულია 137 პროც. «ასეთ სააქციო სისტემას დიდი უარყოფითი გავლენა აქვს ჩვენი მეთამბაქოებაზე და მომავალში ეს გავლენა უსათუოდ გაღრმავდება»-ო, განაგრძობს იგივე. აქციებებს აწესებს, რასაკვირველია, მოსკოვი! «შექმნილ სააქციო პირობებს სუთი კვარტალის განმავლობაში სამასი პროცენტით შეუმცირებია უმაღლესი ხარისხის პაპირსების გასაღება საქართველოს სახელმწიფო ტრესტის განყოფილებიდან. რაც შეეხება კერძო მრეწველობას, იქ, უმაღლესი ხარისხის თამბაქოს ნაწარმების დამზადება სრულიად შეწყვეტილია... ეს მდგომარეობა განსაკუთრებულად დიდ საშიშროებას ქმნის საქართველოს მეთამბაქოებისათვის... აფხაზეთის მეთამბაქოება უსათუოდ განადგურდება, თუ კი მისი პროდუქციის ხარისხმა ყუბანის პროდუქციის ხარისხამდე დაიწია; ვინაიდან ის, ამ შემთხვევაში, ვერ გაუწევს ყუბანს (მის დაბალი ხარისხის თამბაქოს) კონკურენციას... (აგრ. 26). სამაგიეროთ აყვავდება რუსული მახორკა, რომლის ნათესებიც ომის წინა წლებთან შედარებით 172 პრ. გაიზარდა, რადგან სააქციო განაკვეთი მახორკაზე უდრის 50 კ. და პირველ მეორე ხარისხის თამბაქოზე კი სამჯერ მეტს. ნუ თუ ეს არის სოციალიზმის დამყარება, რომ ხალხმა მახორკა მოსწიოს თუთუნის მაგივრათ? თუ ესაა მახორკული სოციალიზმი? ნუ თუ ეს არის საქართველოს მეურნეული აყვავება, რომ რუსეთის მახორკა გაიფურჩქნოს და მსოფლიოში ნაქები აფხაზეთი თუთუნი კი მოისპოს? ბ-ნო ალ. ჭუმბურიძე! ამას თქვენი გეგმები ვერ უშველის. ბოროტება სხვაგან მოსძებნეთ, მას სათავე მოსკოვში უძევს, იმ ქვეყანაში, რომელსაც დაპყრობილი ყავს საქართველო, და რომელიც ჩვენს მდიდარ ქვეყანას უსინიდისოთ ტყავს აძრობს თავის ინტერესების გულისთვის.

ს ა მ ო ს ა ხ ლ ო ე ბ ი. სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების ფართობი უდრის საქართველოში—72.400 ჰექტარს, ქალაქით და დაბებით დასახლებული ადგილი—37.000 ჰექტარს. სამოსახლეობის ფართობი აღმოსავლეთ საქართველოში უდრის 21.400 ჰექტარს, დასავლეთში—51.000. არ დაგავიწყდეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორია 611.100 ჰექტარით ნაკლებია აღმოსავლეთისაზე. დასავლეთში კომლზე მოდის ორჯერ მეტი სამოსახლო მიწა ვიდრე აღმოსავლეთში, სადაც სამოსახლეობი მეტათ უნუგეუო მდგომარეობაში იმყოფება (მიწური, შეჯგუფება და სხ.). 1900 წელთან შედარებით სამოსახლეობის ფართობი ერთი-ორად შემცირებულა. 1900 წელში სამოსახლეობის ფართობი შეადგენდა საქართველოს ტერიტორიის 2.1 პრ. და ესლა კი მხოლოდ 1 პროც. სამოსახლეობის ფართობის ასეთი შემცირება, იმის მიუხედავათაც, რომ იგი სა-

*) იხ. პროფ. ჯანდიერის: «ობ ოცევედსტე»...
) იხ. «საქ. ეკ.» № 8-9 გვ. 116. *) იხ. «ს. ეკ.» № 7.



ერთოდ მეტათ მცირეა. შემცირება, რომელიც აინ-
სნება საერთოდ მიწის დიდი სივიწროვით, პირდაპირ
საშინელია და იმის დამამტკიცებელი, რომ სოფლის
ცხოვრება, იმის მაგივრათ რომ წინ მიდიოდეს და
კულტურისაკენ ვითარდებოდეს, უკან რჩება, უკან
მიდის და ქვეყანას განსაცთელში ავდებს. ხალხის
ნორმალური ზრდა და განვითარება ასე დუხჭირ პი-
რობებში საშინლათ შეფერხებულია და დიდ საფრ-
თხის წინაშე სდვას.

მიწის ნორმა. 1922 წლის 26 მაისს დამტკი-
ცებულ იქნა მიწის ნორმები, საშუალო ნორმა ყველა
კატეგორიის მიწებისა სამიდან ხუთ სულიან ოჯახზე
უდრის: ტფილისის, დუშეთის და ახალქალაქის მაზ-
რაში—7.63 ჰექტარს, სიღნაღის—7.08, გორის, ბორ-
ჩალოს ახალციხის მაზრაში, აფხაზეთში და ოსეთში
—6.54 ჰექტარს, თელავის და სვანეთის მაზრაში—5.45,
ქუთაისის—4.91, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, სენა-
კის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრაში და აჭარისტან-
ში—4.36 ჰექტარს. სანორმო მიწაში შედის: სახნავ-
სათესი, ვენახი, ბაღი, სათიბი. კანონით დაწესებული
ეს მიწის ნორმები, როგორც სამართლიანათ აღნიშ-
ნავს ბ. ნ. ვ. გოგოლაძე, — არის. «მხოლოდ და მხო-
ლოდ საარსებო მინიმუმი, რომ კომლი ფიზიკურათ
არ გაწყდეს. მაშასადამე, საქართველოს მიწის ნორ-
მები უნდა ჩაითვალოს მიწის სივიწროვით გამოწვე-
ულ. ასე ვსთქვათ, «გაპირვების ნორმებათ». ერთდ-
ერთი მაზრა მთელ საქართველოში, სადაც მიწა სა-
კმაო რაოდენობითაა, ესე იგი კანონის მიერ დაწესე-
ბულ ნორმით ანუ «გაპირვების ნორმით» შეიძლება
დაკმაყოფილებულ იქნეს გლეხობა, — ესაა ახალქალა-
ქის მაზრა. ყველგან. დანარჩენ საქართველოში მიწის
დიდი ნაკლებობაა. მაგალითად, აჭარისტანში, რაჭა-
ში, ლეჩხუმში კანონიერი მიწის ნორმა უდრის 4.36
ჰექტარს, სინამდვილეში კი სასოფლო-სამეურნეო
მიწა მოდის საშუალოთ კომლზე 1.7 ჰექტ. ანუ ორ-
ნახევარჯერ ნაკლები ვინემ «გაპირვებული» კანონი-
ერი ნორმა. შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდი-
დის და ქუთაისის მაზრაში კომლზე მოდის საშუა-
ლოდ 2.0-2.8 ჰექტარი (დაწესებულია კანონით 4.36

ჰექტ.) ახუ ორჯერ, სამჯერ ნაკლები ნორმაზე. ბ. გო-
გოლაძის გამოანგარიშებით: რომ კანონის მიერ დაკ-
მაყოფილებულ იქნეს ჩვენი გლეხობა, ესე იგი მას
მიეცეს კანონის მიერ დაწესებული ნორმა, ამისათვის
აკლია: ქუთაისის მაზრას—121.100 ჰექტარი მიწა, შო-
რაპნისას—86.700, სიღნაღისას—74.100, გორისას—
72.900, სენაკისას—55.500, სამხრეთ ოსეთს—54.400,
ზუგდიდისას—41.000, ტფილისისას—37.500, ახალცი-
ხისას—36.900, აჭარისტანს—36.300, რაქას—31.200,
ლეჩხუმს—21.500, ბორჩალოს—10.600 და სვანეთს—
3.800 ჰექტარი. «ამგვართ, ამბობს იგი, — რომ საქარ-
თველოს სოფლის მიწის მუშა მოსახლეობის დაკმა-
ყოფილება გადაწყვიტოთ კანონით დაწესებულ მი-
წის ნორმით, დაგვაკლდება 946.800 ჰექტარი. რო-
გორც ვნახეთ. — დასკვნის ბ. ნ. ვ. გოგოლაძე — საქარ-
თველოს მიწის საქმე ძალიან მოუწყობელი და მოუწყე-
სრივებელია. რასაც ჩვენი მეურნეობისათვის მეტათ
მკიძე შედეგები მოაქვს. საქმის ცოტათი ვაუმჯობე-
სების მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემო-
ებას. რომ არ იქნას დაშვებული სხვა რესპუბლიკე-
ბიდან და მთიდან ჩასახლება ბარში; რაც ძალიან
ხშირი მოვლენაა ჩვენში...» *) რასაკვირველია, ესეც
რომ მოხდეს, საქმეს მაინც არ ეშველება. ამ მიმოხი-
ლვიდან თქვენ დაინახეთ, რომ საქართველოს ხალხი
მეტად ბელადურულ მდგომარეობაში არის ჩაყარნილი
და მას იხსნის მხოლოდ თავისი თავის მოვლის და
პატრონობის საშვალება, მხოლოდ თავისუფალ, და-
მოუკიდებელ საქართველოში შესაძლებელია გამოს-
წორდეს ის უბედურება. რომელიც დღეს ქართველ
ხალხს თავს დასტყვია, რადგან სხვის მონობაში ყო-
ფნის დროს, ბატონი თავისთვის ფიქრობს, და თავი-
სუფალი ხალხი კი შეეცდება თავისი ღონით და თა-
ვისი ინტერესებისათვის და არა მოსკოვის სალოარო-
სათვის. თავის თავს წესიერათ უპატრონოს. საქარ-
თველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ნიშნავს არა
მარტო პოლიტიკურათ სხვისი მონობისაგან განთა-
ვისუფლებას. არამედ იმასაც, რომ ქართველ ხალხს
თავისუფალი საშვალება მიეცემა თვით გამოძებნოს
წყარო თავისი მეურნეობის აყვავებისათვის და განა-
ვითაროს იგი თავისი საკუთარი კეთილდღეობისა-
თვის.

კ. ნ.

*) სს. «საქ. ეკონომისტი» № 7-11 ტფილისი, 1927.

ირლანდიელების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

I.

ირლანდიელების და ქართველების თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლის ისტორიაში არის მომენტები.
რომელნიც ძლიერ გვანან ერთმანეთს. ამ მხრივ ქარ-
თველი მკითხველისათვის არ იქნება ინტერესს მოკ-
ლებული, მოკლეთ ვაცენოს პატარა ირლანდიის თა-
ვისუფლებისათვის მრავალ საუკუნოებრივ ბრძო-
ლას.

ირლანდია 750 წელი იბრძოდა თავისუფლების
და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ. მას ეს თა-
ვისუფლება და დამოუკიდებლობა მოსტაცა ინგლი-
სმა. რომელიც მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუ-
ნოებში უდიდესი და უდიდესი იმპერია შეიქმნა
მთელ მსოფლიოში. ირლანდია-ინგლისს შორის

ბრძოლა არ იყო თანაბრათ შორის ბრძოლა, მაგრამ
მოუხედავათ ამისა პატარა ირლანდია ბრძოლას მან-
ამდის განაგრძობდა; სხვამ მან არ მიახწია თავის მი-
ზანს და არ მოიპოვა თავისი ეროვნული დამოუკი-
დებლობა.

ინგლისელები, როგორც საზოგადოთ სჩვეიათ
დამპყრობ და გაბატონებულ ერთ დაპყრობილთა მი-
მართ, ირლანდიელებს ყოველთვის ზევიდგან დაპყუ-
რებდენ და მათი მომავლის არაფერი სწამდათ. ირლა-
ნდიელები მუდამ ინგლისელების ბრახს იწვევდენ:
ირლანდიელები მუდამ უკმაყოფილონი არიან, ახთე-
ნენ აჯანყებებს. მიმართავენ ძალადობას მათ «გამა-
ბედნიერებელ ბატონების» წინააღმდეგ, ვერ სარგე-

ბლოგენ საქსონური რასის ცივილიზაციის გენიალობით და ქედს არ იხრიან ძლიერ ბრიტანეთის წინაშე. ჯერ კიდევ 1649 წ. კრომველი ამბობდა: «ირლანდიელები ბარბაროსები არიან, მათ ვერ შეიგნეს და ვერ შეითვისეს ინგლისური თავისუფლების ბრწყინვალეობა»-ო. ირლანდიის ისტორიას არა თუ არ ასწავლიდნენ ინგლისელ ბავშვებს, არამედ მისი სწავლება აღკრძალული იყო თვით ირლანდიის სახალხო სკოლებშიდაც კი. მაგრამ ირლანდიელები თავიანთ ისტორიას მაინც არ ივიწყებდნენ. ის იყო მათი ნუგეში და იმედიც. ირლანდიელები მათი წარსული მათ მომავალზედაც ელაპარაკებოდა და მიუთითებდა.

ირლანდიელ ერის კულტურა პირველ საუკუნოებიდან იწყება. ამ კულტურას ძველათ უდიდეს განვითარების საფეხურამდე მიუწევიდა და მასაც ქონებია თავის ოქროს ხანა. ყველაფერს ამას ადასტურებს მეცნიერთა ის არქეოლოგიური და ფილოლოგიური გამოკვლევანი, რომელთაც ადგილი ქონდა ამ უკანასკნელ 60 წლის განმავლობაში. ის მანუსკრიპტები, რომელთაც დღეს ჩვენამდინ მოუღწევიათ, ნათლათ გვიმტკიცებენ, თუ განვითარების რა მაღალ საფეხურამდე ყოფილა მისული ფორმის და შინაარსის მხრივ ირლანდიის ძველი ლიტერატურა. იმ დროის პროზას და ლექსს, მოთხრობებს და პოემებს უდიდესი გავლენა ჰქონდა ახალ დროის უდიდეს პოეტებზე და მწერლებზე.

მე-5 საუკუნის დასაწყისში ირლანდია ნახევრათ უკვე გაქრისტიანებულია. ამ დროიდანვე დაწყებულია იქ ეკლესიების და მონასტრების აგება. გაჩაღებულია სამისიონერო მუშაობა. გაუხსნაოთ მრავალი სამკითხველოები და დაუარსებიათ სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ლიტერატურას, მეცნიერებას, ფილოსოფიას, თეოლოგიას და სხ. ევროპის ყველა კუთხეებიდან მოდიოდა აქ ხალხი ცოდნის და განათლების მისაღებათ. მესუთე საუკუნეიდან მერვემდე ირლანდია წარმოადგენდა თანამედროვე კულტურის ადგილს და თავშესაფარს. ცნობილია, რომ ევროპის ცივილიზაცია ბარბაროსთა შემოსევის ხანებში განადგურებას გადაურჩა სწორეთ ირლანდიაში თავის შეფარებით.

მე-9 საუკუნის დასაწყისიდან მე-10-ის ბოლომდე ირლანდიამ განიცადა დანიელების ბატონობა და ამ ხნის განმავლობაში მისი კულტურული ცხოვრება თვალსაჩინოთ შეფერხდა და მოდუნდა. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში დანიელები განდევნილ იქნენ ირლანდიიდან. მაგრამ ძლივსა გაიარა 150 წელმა, კულტურასან ირლანდიელ ერს 1169 წელს ნახევრათ ბარბაროსები ანგლო-ნორმანდიელები შემოესივნენ. მართალია ირლანდიელების მიერ მუდმივ სასტიკ წინააღმდეგობის გაწევის გამო მტერმა ირლანდიაში თავისი ბატონობა ვერ განამტკიცა და ვერ დაიპყრო ის, მაგრამ სამნახევარ საუკუნის განმავლობაში ინგლისელები მუდმივათ განაგრძობდნენ ბრძოლას მის დასაპყრობათ. ინგლისელებს პირველათ დაკავებული ქონდათ მხოლოთ კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირები და აქედან აწყობდნენ ექსპედიციებს ირლანდიის სხვა ნაწილების დასაპყრობათ. მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა. მტერი ირლანდიის აღმოსავლეთ ნაპირებს ვერ სცილდებოდა და მის შუაგულში შესვლას ვერ ახერხებდა. ინგლისი იმ დროს სხვა ავანტიურებშიდაც იყო ჩაბმული და არ ქონდა საშუალება მთელი თავისი ძალებით ირლანდიას შესეოდა. თვით ირლანდიაში კი ინგლისის ინტრიგების გამო არ იყო ერთსულოვანება და თანხმობა; ირლანდიელთა შორის კინკლაობა იყო გამეფებული და ამიტომ ინგლისელებს საბოლოათ თავიდგან ვეღარ იშორებდნენ.

ინგლისელების დაპყრობითი პოლიტიკა გრძელდება ირლანდიაში მე-16 საუკუნეშიდაც თითოდროების დროს. გენრიხ მე-8-ემ ირლანდიელების დამორჩილება ვერ შესძლო წომიერტი პოლიტიკით, თავზე ხელის მოსმით, მორიგებით, ამის შემდეგ მთელ ირლანდიაში იწყება ხანა საშინელი რეპრესიებისა. განსაკუთრებით თავი ისახელა ამ რეპრესიებით ინგლისელების მეფე ელისაბედმა. მან ძალით შემოიღო ირლანდიაში ინგლისური კანონმდებლობა, სამსაჯულო და სხვა დაწესებულებანი. ართმევდა მიწებს ირლანდიელებს და მათ ადგილას ასახლებდა ინგლისელებს. მან პირველათ დაიწყო პაპის მიმდევართა დევნა. იჭერდა და ჰკლავდა მათ, ვინც არ იცნობდა ანგლიკანური ეკლესიის ხელისუფლებას. გააჩაღა შუღლი კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის. მეფე ელისაბედის დროს სამჯერ ქონდა აჯანყებას ადგილი ირლანდიაში: 1560, 1579 და 1596 წლებში. სამივეჯერ ეს აჯანყებები სისხლში იქნა ჩახარობილი. ირლანდიელებს ხოცავდნენ, როგორც მხეცებს. კლავდნენ მამაკაცებს, ქალებს, ბავშვებს, ავთმყოფებს, მოხუცებს. ყოველ წლიურათ, მეთოდირეთ, შეესეოდნენ ხოლმე ირლანდიას, ანადგურებდნენ ნახუნა-ნათესს, ყანებს, მინდვრებს. მიერეკებოდნენ ცხოველებს. ხალხს თავის სარჩენათ არავითარი საშუალება აღარ რჩებოდა. მცხოვრებნი შიმშილისაგან ათასობით იღუპებოდნენ. მე-16 საუკუნის უკანასკნელ წლებში ირლანდიაში მცხოვრებთა რიცხვი განახევრდა. ელისაბედმა ირლანდია «დააწყნარა», მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ დაიპყრო.

ირლანდიის დაპყრობა გრძელდება მე-17 საუკუნეში. ირლანდიელების ათასგვარ სხვა დევნას ეხლა განსაკუთრებული ფორმით რელიგიური დევნაც დაემატა. ინგლისმა მიიღო პროტესტანტობა და განიზრახა, რომ ირლანდიასაც მიეღო ის და მით კათოლიკონზმისათვის თავი გაენებებია. კათოლიკებს ართმევდნენ ეკლესიებს, მონასტრებს, მიწებს და ურიგებდნენ ყველაფერს პროტესტანტ ინგლისელებს. 1641 წელს ირლანდიაში იფეთქა დიდმა აჯანყებამ, რომელსაც გარკვეული რელიგიური ხასიათი ქონდა. პროტესტანტები განდევნილ იქნენ ყველა იმ ადგილებიდან, სადაც ისინი ჩასახლებული იყვნენ ინგლისელების მიერ და ბევრი მათგანი დახოცილ იქნა. ამ აჯანყებასაც საშინელი რეპრესიები მოყვა და ის უშედეგათ გათავდა.

ყველაზე დიდი უბედურება კი ირლანდიელებს 1649 წელს დაატყდა თავზე, როცა კრომველი თავისი ჯარებით ირლანდიაში შეიჭრა. «ღვთისა და ქრისტეს» სახელით კრომველმა გაელიტა ერთი გარნიზონი 30.000 კაცისაგან შემდგარი, უმრავლესობით



კათოლიკები. ჩამოაბრჩო, ან ციხეებში დამწყვდია მღვდლები. აღკრძალა კათოლიკური სარწმუნოება. 40.000-მდე ირლანდიელი გაიქცა და თავი შეაფარა საფრანგეთს, თუ ისპანიას. ათასობით ირლანდიელთა ქალები და ბავშვები გაყიდულ იქნა მონებით იამაიკაში. ირლანდიის სამ პრეზიდენტია: ლენსტერში, ულსტერში და მუნსტერში ირლანდიელებს ჩამოერთვათ მიწები და დაურთგდა კრომველის ჯარისკაცებს, ან იმ პირთ, რომელთაც ინგლისის პარლამენტს ფულით დახმარება აღმოუჩინეს ირლანდიაში ექსპედიციის მოსაწყობათ. ირლანდია დაცარიელდა მცხოვრებლებიდან. ათი წლის განმავლობაში 1.446.000 სულზე 616.000 სული დაიღუპა. ირლანდიელებს, ვინც სიკვდილს გადაურჩა, შეეძლოთ ირლანდიის ერთ პრეზიდენიაში, კონოთში, წასულიყვნენ და იქ შეეფარებინათ თავი. კონოთში ან ჯოჯოხეთში! ასეთი იყო კრომველის ლოზუნგი. მაგრამ კრომველმა თავის მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ირლანდიელები გადარჩენ არა მხოლოდ კონოთში, არამედ ირლანდიის მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად ბევრი ცთისა, ირლანდია მაინც არ გაინგლისელდა. წინააღმდეგ, გავიდა ორმოცი წელი კრომველის ჯარების შემოსევის შემდეგ და ირლანდიაში მყოფ ინგლისელ ჯარისკაცების შვილების კარგი მოზრდილი ნაწილი ინგლისურათ ერთ სიტყვასაც ვერ ლაპარაკობდა, ჯარის კაცების ერთ ნაწილს კი კათოლიკობაც მიეღო. ინგლისელები ცთილობდნენ ირლანდიელების გაინგლისელებას და გაპრეტესტანტებას, ირლანდიელები კი ხშირათ თვით ინგლისელებს აირლანდიელებდნენ და აკათოლიკებდნენ.

მე-18 საუკუნეში ინგლისი მიმართავს კანონმდებლობის რეპრესიებს ირლანდიის კათოლიციზმის წინააღმდეგ. ამ კანონმდებლობის საშუალებით ირლანდიის მოსახლეობის კათოლიკური ნაწილი ნამდვილ მონებათ არიან ქვეული. ის ყოველივე უფლებას მოკლებულია. კათოლიკეს არ შეუძლია თავისუფლათ აღიაროს თავისი რწმენა. მას არ აქვს ნება იმასწავლებლოს. მისი შვილების სწავლება შეუძლია მხოლოდ პროტესტანტს. ის ვერ გააგზავნის შვილებს სასწავლოთ საზღვარ გარეთ. მას არ შეუძლია რამე მონაწილეობა და აქტიობა გამოიჩინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ აქვს უფლება შეიძინოს მიწა კერძო საკუთრებათ. არ შეუძლია ატაროს იარაღი და იყოლიოს ცხენი ხუთ გირვანქა სტერლინგზე მეტათ ღირებული. კათოლიკე ვერ განთებოდა თავისი შვილების აპეკუნი, ვერ მიიღებდა და ვერ დაიმტკიცებდა რამე ქონებას პროტესტანტისაგან. ვერ შეირთავდა პროტესტანტის ქალს. მას არ ქონდა უფლება პარლამენტში ამრჩეველი, ან არჩეული ყოფილიყო. თვით ირლანდიის პარლამენტს კი არავითარი ინიციატივის უფლება არ ქონდა და ყველაფერში სავსებით ინგლისის პარლამენტს ემორჩილებოდა.

ინგლისი ირლანდიას უბრალო კოლონიათ სთვლიდა. შემზღუდველი სპეციალური კანონების ძალით ირლანდიის მთელი ვაჭრობა-მრეწველობა განადგურებული იყო. კათოლიკებს ისედაც არავითარი უფლება არ ქონდათ ვაჭრობა-მრეწველობის და-

რგში. ეკონომიურათ ძლიერი ელემენტები მხოლოდ პროტესტანტები იყვნენ და ვაჭრობა-მრეწველობის წინააღმდეგ მიმართული კანონებიც განსაკუთრებით მათთვის იყო უფრო საგრძნობელი. ასეთმა მდგომარეობამ დაბოლოო პროტესტანტებსაც აუნიალა თავალები. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში პროტესტანტი გრატანი უკვე ხმამაღლა და თამამათ გაიძახოდა, რომ პროტესტანტული ირლანდია მანამ ვერ განთება თავისუფალი, სანამ კათოლიკური ნაწილი დარჩება დამონებული, რომ ირლანდია იყო ერთნაირათ ძვირფასი სამშობლო როგორც კათოლიკებისათვის, ისე პროტესტანტებისათვის. ირლანდიელ ეროვნების და ირლანდიის დამოუკიდებლობის იდეა თანდათან იღვიძებს პროტესტანტებშიდაც და მალე ისინიც მზათ იქნებიან კათოლიკეთან ერთათ ირლანდიის დამოუკიდებლობის დროშა ააფრიალონ.

1776 წელს ატყდა ომი ამერიკა-ინგლისს შორის. ირლანდიელებმა მიიღეს ნებართვა და თავის დასაცავათ გაიჩინეს 40.000 კაცისაგან შემდგარი მილიცია. როცა ირლანდიელებს თავის საკუთარი შეიარაღებული ძალა გაუჩნდათ, მათ განიზრახეს ესარგებლით ინგლისის საქმეების გართულებით და ირლანდიის დამოუკიდებლობის საკითხი დაუყენებლივ წამოაყენეს. ცნობილი ლოზუნგი, რომელიც ასე პოპულიარული იყო ირლანდიელთა შორის— England's difficulty Ireland's opportunity— ინგლისის გასაჭირი ირლანდიისათვის შემთხვევააო, უკვე პრაქტიკულათ ხორციელდება. 1779 წელს ინგლისი იძულებულია მოსპოს ირლანდიაში ვაჭრობა-მრეწველობის შემზღუდველი კანონები. 1789 წელს კი ირლანდიის დამოუკიდებლობა ცხადდება. მას აწი ინგლისთან მხოლოდ უბრალო კავშირი ექნება მეფის საშუალებით. დამოუკიდებლობისათვის ამ ბრძოლაში ერთნაირათ იღებდნენ მონაწილეობას ირლანდიელი პროტესტანტები და კათოლიკები. ორივე მხარე მეტათ დაინტერესებული იყო ირლანდიის დამოუკიდებლობაში და მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. ირლანდიამ დამოუკიდებლობათ 18 წელი იარსება და ამ ხნის განმავლობაში მისი ცხოვრების ყოველივე დარგს უდიდესი პროგრესი დაეტყო. მაგრამ ინგლისი ვერ შეურთგდა ირლანდიის დამოუკიდებლობას. ინგლისის პირველი მინისტრის, პიტის, თაოსნობით და წაქეზებით ირლანდიაში დაარსდა საზოგადოებები, რომლების მიზანი იყო პროტესტანტების და კათოლიკების ერთმანეთზე მისევა და სამოქალაქო ომის საშუალებით დამოუკიდებლობის და ეროვნული იდეის მოსპობა. ამაზე მილიონები დაიხარჯა. დაბოლოს პიტის აგენტებმა მცხოვრებლებისადმი პროვოკაციული უდიერი მოპყრობით და რეპრესიებით მოახერხეს 1798 წელს მთელ ირლანდიაში აჯანყება გამოეწვიათ. პიტმა მიზანს მიაღწია. მან აჯანყება ჩააქრო და 1800 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე საქართველოს რუსეთი შეიერთებდა, ირლანდია ინგლისს შეუერთა.

(გაგრძელება იქნება)

პ. ვვარჯალაძე.

ს ა ბ უ ლ თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი .

ვინ დაარსა ქართული უნივერსიტეტი?

მართალა მეცნიერების თავისუფალი ტაძარია თუ არა ქართული უნივერსიტეტი? სხვა ქვეყნებში ასეთ საკათხს ადვილი არ ექნებოდა. უნივერსიტეტი ყველგან მეცნიერების თავისუფალი ტაძარია. სულ სხვაა ბოლშევიკური ქვეყნის უნივერსიტეტი. ქართულ უნივერსიტეტში მეცნიერებას ყავარში ერეკებიან. თავისუფლებას სარდაფში. საპარადო ოთახში მხოლოდ დემაგოგია რჩება. სიტყვისა და მეცნიერული აზრის რა თავისუფლება ჰქონია მინიჭებული ქართულ უნივერსიტეტს. თვით იურილეს დროსაც სჩანს იმ წერილიდგან, რომელიც გაზეთ «კომუნისტშია» მოთავსებული და რომელსაც «სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა» აწერს ხელს. ყველა ქვეყნებში უნივერსიტეტის გამგეობა მეცნიერებისაგან შესდგება. ვიღამ უნდა მართოს უნივერსიტეტი, თუ არა თითონ პროფესორებმა? მაგრამ ბოლშევიკური რეჟიმს უნივერსიტეტი ცოტა სხვანაირად არის წარმართული. უპირველესად ყოვლისა საჭიროა, რომ რექტორად აუცილებლათ ისეთი კაცი იყოს, როგორც არის თედო ლლონტი. დანარჩენი და მეტადრე «გამგეობის» მოწყობა ხომ სულ ადვილი საქმეა. ორი მამალი ბალშევიკი, ორი კომსომოლელი, ორი რენეგატი ემიგრაციიდან და აი იმისი ჯგანი! შედიან თუ არა პროფესორები ამ «გამგეოვანში» ეს ფიდა დელიკატური საკითხია. «დგთის მადლსა, ჩხიკენი ნუ გვინდა, სუფრასა აგვიშლიანო!» ასე ფიქრობენ ალბად ბოლშევიკები პროფესორებზედ. ალბად ამ «გამგეობის» ასეთი შემადგენლობის ბრალია, რომ მეცნიერებაზე, საზოგადოთ უნივერსიტეტების წარმოშობების ისტორიაზე და კერძოთ ქართული უნივერსიტეტის წარმოშობაზედ, «სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას» ასეთი თავისებური აზრები ჰქონია.

«სად არის სათაფე და საზღვან მომდინარეობს იდეია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლისა?» კითხულობს ეს შესანიშნავი დოკუმენტი და პასუხიც მზათა აქვს. «საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის იდეია გამომდინარეობს პირველ ყოვლისა საქართველოში შექმნილ ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებიდან. ამ იდეიის ყველაზე მტკიცე მატარებელი არის საქართველოს მშრომელი ხალხი სხვა მოვლენებთან ეთად ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი არის შვილი რევოლიუციის». ასე მსჯელობს ეს დოკუმენტი.

დღევანდელი ქართული უნივერსიტეტი რომ გაგრძელება ძველი ქართული განათლებისა, ქართველ ხალხს ხომ ეს განათლება უწინაც ჰქონდა, წერილის ავტორებმა არ იციან. ამიტომ უნივერსიტეტის საჭიროებასაც თავისებურედ ასაბუთებენ. უნივერსიტეტი საჭიროა ყოფილა, რადგანაც ფოსტა არსებობს. საჭიროა ყოფილა კიდევ იმიტომ, რომ ტელეგრაფი არსებობს. ჩვენ არ ვსურებთ და წერილში სწორედ ასე არის ნათქვამი.

ამას წინად ჩვენ, ემიგრანტებმაც ვიდღესასწაულეთ ქართული უნივერსიტეტის ათი წლის თავი და

ბ. ექ. თაყაიშვილმა გვიამბო, როგორი იყო განათლება ძველ საქართველოში და როდის შეიქმნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენში? რამდენადაც ვიცით, დავით აღმაშენებლის დროს ტელეგრაფი არ იყო, მაგრამ უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. როგორა ვქნათ ესა? ტელეგრაფმა შვა უნივერსიტეტი და უნივერსიტეტმა შვა ტელეგრაფი? პასუხი მოკლეა—ქართული უნივერსიტეტი თურმე ლენინგრადისა და მოსკოვის მუშებს შეუქმნიათ რუსეთის «დიდი რევოლიუციის» დროს. მაგრამ «ლენინგრადისა და მოსკოვის მუშებიც სიტყვის უბრალო მასალაა და ქართული უნივერსიტეტი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენ ყოჩად ბალშევიკებს დაუარსებიათ. «ოქტომბრის რევოლიუციის ისტორია საქართველოში—ამბობს წერილი—იწყება არა 1917 წლის ოქტომბრიდან, არამედ 1921 წლის 25 თებერვლიდან როცა საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა»... ქართული უნივერსიტეტიც მაშინ დაარსებულია.

არც ოცდა ექვსი მაისი. არც დამოუკიდებელი საქართველო, არც 1918 წლის ოცდა ექვსი იანვარი როცა მართალა დაარსდა ქართული უნივერსიტეტი არამედ 1921 წლის ოცდა ხუთი თებერვალი, როცა რუსის ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს—აი წერილის აზრი! ეს გასაგებია, მაგრამ მაინც საყურადღებოა, აგვისხნას ისეთმა მეცნიერულად ავტორიტეტულმა დაწესებულებამ, როგორიც არის «ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა»—როგორ შეიძლება თებერვალი ოქტომბრათ გადაიქცეს და ისიც ოთხი წლის «ინტერვალით»?

რა არ იციან ბოლშევიკებმა?

ბოლშევიკებს კარგი ჩვეულება აქვთ. დაბეჭდავენ რომელსამე იდიოტურ სიტყვას და ზედაც ორატორის სურათს მოაყოლებენ. გაზ. «კომუნისტის» 41 ნომერში მოთავსებულია «ამხანაგ» ლ. ქართველიშვილის სურათი. გვამი, სიცოცხლე მოგვეცეთ, იმასა ჰქონდეს. მე არა მგონია, რომელიმე ქართველი პროფესორი ისე იყვეს «შენანული», როგორც «ამხანაგი» ლ. ქართველიშვილი. მაღალი შუბლი, განიერი მხარბეჭი, ქონით ამოვსებული თვალები, თეთრი სახაფხულო ფრენჩი, ალბად «უკანასკნელი» ზეწარისაგან გამოჭრილი, როგორც შეშვების მუშურ-გოვლესურ რევოლიუციის ბელადს, და როგორც გერგოვინი მთელი ამ კორპულენციისა ნამდვილი ბოლშევიკური სახე. სახე ისეთია, რომ ძალა უნებურად იფიქრებთ: რა უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ლ. ქართველიშვილმა არ იცოდეს. მაგრამ აბა ყური დაუგდეთ ამ «მოკრძალებულ» ადამიანს, რას ამბობს:

«ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როგორ უნდა ვაშენოთ. საჭიროა სწავლა. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ბურჟუაზიული სპეციალისტებისაგან. უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილება. ამ მხრივ საქართველოში საქმე ვერაა კარგად» როგორ მოგწონთ ეს «საქმე ვერაა კარგად»? «ამხანაგი» ქართველიშვილი ამას ისე გულდამშვიდ-



ბით ამბობს თითქოს, ჩილიკი ჯოხს თამაშობდევს და არა სახელმწიფოს «აშენებდეს». ქართველიშვილმა არ იცის, რომ მისი საქმე უკვე დაღუპულია. თუ ბოლშევიკებს ბურჟუაზიისაგან უნდოდათ სწავლის მიღება, მაუზერები უნდა მოეხსნათ და ისე წასულიყვენ გაკვეთილებზედ. თორემ სადაური შეგირდ-მასწავლებლის ამბავია, მე გასწავლო—შენ სულ მაუზერი მიმიზნო! თუმცა არც ის ვიცით, ატარებს ქართველიშვილი მაუზერს თუ არა? განეთში მხოლოდ მისი «ბიუსტია» დახატული, პოლიტ-გრამოტაში კი სწერია: «ხოლო მაუზერი იგი ბოლშევიკმა წელიკვეით უნდა ატაროს!»

საბჭოების გენერალური შემოწმება.

ბოლშევიკური სახელმწიფოს კონსტიტუცია საბჭოთა სისტემაზედ არის დაფუძნებული. ბოლშევიზმის დედა-აზრი ასეთია: ხალხმა უნდა აირჩიოს წარმომადგენელი. წარმომადგენელთა კრებას ჰქვია საბჭო. საბჭო მართავს ხალხს. პრინციპი ძველია. ეს პრინციპი იქამდე ძველია, რომ, მაგალითად, რუსის «ვერაზიელები» საბჭოთა სისტემას მთლიანად შეურიგდნენ და მომავალშიაც მისი შენახვის მომზადებაც არიან. მაშ რაღა შემოიღეს ბოლშევიკებმა, რა არის ახალი მათ სისტემაში?

ახალი ამ სისტემაში თვით ამ არჩევნების წესია. ბოლშევიკებამდე ყველა ხალხებში და ყველა წესწყობილებაში არჩევნები ჰქვედგან ხდებოდა. ესე იგი არჩეულებს თვირონ ხალხი ირჩევდა. ასე იყო, როცა თემის ხმოსნებს სოფლებში ირჩევდნენ სოფლებში, ასევე იყო როცა დამფუძნებელ კრების წევრებს ირჩევდნენ ჩვენში. ამასა ჰქვია არჩევნების ქვემოდან მოხდენა. ბოლშევიკებმა ეს წესი გადააგდეს და არჩეულებს ზევით ირჩევენ, ესე იგი ნიშნავენ. ყველამ იცის, როგორ ხდებოდა და ხდება ბოლშევიკური არჩევნები საქართველოში. მოდიოდა მაუზერიანი ხალხი და მოჰქონდათ გამაზღვრული სია. ვინც ამ სიას ხმას არ მისცემდა—ჩეკიში მიჰყავლათ. არა ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხს თავისი მოწონებული პირი გაეყვანოს, რადგანაც ხალხის მოწონებული მუდამ ბოლშევიკის დაწუნებული გამოდიოდა და ასეთ პირს ან ციხეში გზავნიდნენ, ან ასახლებდნენ, ან ხვრეტდნენ, ასე სწარმოებდა საბჭოების არჩევა საქართველოში, ამ შვიდი წლის განმავლობაში და ამან შექმნა ის გარემოება, რომ ვერასოდეს საბჭოთა ხელისუფლება ხალხური და ავტორიტეტული ვერ გახდა, ბოლშევიკური საბჭო მკვდარი გამოდგა.

ესლა იმავე «კომუნისტში» მოთავსებულია ვრცელი წერილი, სადაც ამ საბჭოების გენერალურ შემოწმების საჭიროებაზედ არის ლაპარაკი. რას ამბობს ეს წერილი და რას უმზადებს იგი ხალხს?

საბჭოების ძველმა შინაარსმა ხალხის ყურადღება ვერ მიიზიდა. საბჭოებში ყველაფერი ბოლშევიკების სათარეშოდ იყო გამხდარი. თვით ბოლშევიკებისათვისაც საჭირო შეიქმნა გარეგანი იერის შეცვლა ხალხის ყურადღების მოსანადირებლად და ამ ქამად ზოგიერთ ახალ სიტყვებთანა გვაქვს საქმე.

გამოტყვრა ისეთი სიტყვა. როგორც არის მაგალითად «საბჭოთა ფართე დემოკრატია». გამოჩნდა კიდევ სიტყვა «დეპუტატი» აქამდე არ ხმარებული ბოლშევიკურ სატყვიერებაში. საბჭოს წევრს უკვე «დეპუტატს» ეძახიან, ტრადიციულ ბოლშევიკურ «მუშურ-გლეხური» სიტყვის მაგიერ ხალხს «ფართე დემოკრატის» უწოდებენ. მოკლიდ ბოლშევიკები ხალხს აპატიოხნებენ. მაშასადამე ამას იქით იქნება საბჭოთა არჩევნებიც რიგიანად მოხდეს? რა შიგან ვართ? რას ნიშნავს ეს სიტყვიერი რეფორმა ბოლშევიკური მძოვრისა? გათენდა, თუ თენდება?

ამის პასუხს გაზეთი «კომუნისტი» გვაძლევს:

«მართლაც, თუმცა მუშებისა და გლეხების ფართო მასების პოლიტიკური და კულტურული ზრდა დიდია, თუმცა საბჭოების წევრები შედარებით დიდათ გაეჩვივნენ საზოგადოებრივ მუშაობაში. მაინც უმრავლესობისათვის (მეტადრე სოფლად) ჯერჯერობით საკმაოდ ძნელია მოხსენების გაკეთება საბჭოს მუშაობის შესახებ. ამიტომ საჭიროა, რომ საბჭოებისა და მანრების აღმასკომების სხდომებზედ წინასწარ ჩატარებულ იქნას საინსტრუქციო მოხსენებანი. მიეცეს დეპუტატებს, სადაც ეს ტენიკურად შესაძლებელი იქნება, მოკლე, ადვილად წასაკითხი წერილობითი ანგარიში, მცირე, მხოლოდ მეტად საჭირო ციფრები და მარტივი დიაგრამები».

გაზეთი ამას «საბჭოების გენერალური შემოწმებას» უწოდებს. ესე იგი, საბჭოებს ბოლშევიკები აქამდე თითონ ნიშნავდნენ. მაგრამ საბჭოს წევრები არ ლაპარაკობდნენ, ზოგი უფიცობით, ზოგი შიშით. ესლა ამ წევრების ასალაპარაკებელი საშუალებაც გამოჩნახეს. ყველა საბჭოსთან, «მეტადრე სოფლად» არსდება საგანგებო სკოლა, სადაც «დეპუტატებს» სიტყვებს დააზებირებენ, ამ გენიოსურ გარდაწყვეტილებას ერთი ნაკლი აქვს. მართლ საზებირებელი სკოლა არა კმარა და საჭიროა კრების დარბაზში სუფლიორის «ბუდკაც» იყოს. სიტყვა შეიძლება ზებირად დაისწავლო და მაინც დაგავიწყდეს, თუ მეტადრე ბოლშევიკი დეპუტატი ხარ!

შ. ამირეჯიბი.

უცხოეთის მიმდინარეობა.

ზინოვიევის წერილი.

კიდევ ზინოვიევის წერილი! ერთხელ მან მაკდონალდის მთავრობა ააფეთქა, ესლა კი ცოტა დააკლდა რადმე ბოლდვინის მთავრობაც ზედ არ მიაყოლა. ხმაურობა დიდი იყო, ყოველ შემთხვევაში, და მსკოვიც ცერზედ იდგა, რომ მარჯვეთ გამოეყენებია ეს სკანდალი. ის ხომ თავიდანვე იმას ამტკიცებდა რომ ზინოვიევის წერილი მოჭორილი ზღაპარია, ყალბიაო. თვით ავტორიც არ იყო მაშინ თევზივით პირში წყალ-დაგუბებული, მისი ხმა გაისმოდა კიდოდან კიდემდე... მაგრამ დღეს საყოველთაოა წესია, რომ მოსკოვის ტყუილი კი არა, მართალიც არ სჯერათ. და ამიტომ, როცა საგარეო სამინისტროს მსხვილი მოხელე გრეგორი დაითხოვეს ბირჟაზედ თამაშისთვის, მაშინვე დაიბადა იქვი ზინოვიევის წერილის წარმო-

შობის შესახებ, რადგან სწორეთ გრეგორი მკადას-
ცა მკადონალდის მონდობილობით, 1924 წ. რაკოვ-
სკის საპროტესტო ნოტა ამ წერილის გამო. ამტკი-
ცებდენ, რომ გრეგორი კონსერვატორების კაცი იყო
და ჩაიდინა სიყალბე, რათა გამოეწვია ტრავისტე-
ების მთავრობის დამარცხება არჩევნებში. თვით
მკადონალდიც სახტად დარჩა, არ იცოდა, რა დაეძა-
ხნა ზინოვიევის წერილისათვის; ნამდვილი თუ ყალ-
ბი. მისი პარტია კი თითქმის დარწმუნდა, რომ ის
ყალბი იყო და დაიწყო გახურებული კამპანია ბოლ-
დენინის მთავრობის წინააღმდეგ: შენმა პარტიამ სი-
ყალბე ჩაიდინა, რომ გაემარჯვნა. მოგესხნებათ,
ინგლისი სოფდებია არ არის, სადაც ლენინის მცნე-
ბაა გაბატონებული: მიზანი ამართლებს საშუალებ-
ებს; იქ არ არიან ჩვეულებრივ გასვრილ საშუალებათ
პოლიტიკურ ბრძოლაში.

ასეთი სახიფათო ბრალდების წინ, რა თქმა უნ-
და ბოლდენინის მთავრობამ მიიღო არაჩვეულებრივი
ზომები, რათა ცხად ყოფილიყო საქმის ნამდვილი ვითარე-
ბა. მას უშველა იმ გარემოებამ, რომ დღემდე უჩინარ-
მა პირთვებამ, რომელმაც გადასცა, მესამე პირის
საშუალებით, როგორც საგარეო სამინისტროს, ისე
პრესას ზინოვიევის წერილის ასლი, თავის თავი დაა-
სახელა და გაამხილა, თუ როგორ მიიღო მან იგი მე-
გობრისაგან, რომელმაც თავის მხრივ, მოისმინა მისი
დედანი ინგლისის კომუნისტების ვიწრო წრეში.
ჩემს აღმოფრთხილებას სახლვარი არ ჰქონდა—ამბობს
ის თავის წერილში ბოლდენინის სახელზე—როცა დავ-
რწმუნდი, რომ მოსკოვი ერთის ხელით სესხს იღებ-
და ჩვენგან, ხოლო მეორე ხელით ასეთ წერილს სწერ-
და ჩვენი შეიარაღებული ძალების ასაჯანყებლათო.
ბოლდენინმა წაიკითხა ეს წერილი თემთა პალატაში
და თან დასძინა, რომ თავის დროზე ჩიჩერინიც არ
უარყოფდა წერილის არსებობას და სინამდვილეს,
მხოლოდ როცა მოსკოვმა გაიგო, რომ დედანი მოს-
პობლია კომუნისტების მიერ, მორთეს განგავში, ვი-
თომ ის ყალბი იყო. ამ გამოსვლამ დიდი შთაბეჭ-
დილება მოახდინა, უკიდურესი ფრთაც კი ჩააჩუმა
და მით კითხვაც ამოიწურა.

ამ რიგათ მოსკოვის ერთხელ კიდევ კოვზი ნაცარ-
ში ჩაუვარდა და მისი ვერაგობა დამტკიცებული
დარჩა. გრეგორი არაფერ შუაში ყოფილა მთელ ამ
ისტორიაში, იმის გარდა რომ მან შეასრულა თავის
შეფის ბრძანება და გადასცანოტა. იმავე დროს მოხ-
და ერთი საინტერესო ცვლილება: გრეგორის მა-
გიერ დაინიშნა ლორდ კეჩნოზის ყოფილი პირ-
ველი მდივანი ვანსი ტარტი, რაიც ერთს შეაზ-
მორებდა ჩიჩერინს!

ნ ა ქ უ რ დ ი ო ქ რ ო .

ყველა იმას გაიძახის, მოსკოვი კრედიტს თხა-
ულობს. საჭირო შეიქნა პრესტიჟის აღდგენა და
მან ხუთი მილიონ დოლარის ოქროს ზოდები ნიუ-
ორკში გაგზავნა და დასდო ორ ბანკში. თანხა არაა,
მართალია, დიდი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია,
გაიძახოდენ, მომავალში მეტს გავიტანთო. ეს ბუნებ-
რივია, რადგან ნისიათ არავინ აძლევს მოსკოვს სხვა
და სხვა მანქანებს, რომელიც ასე სჭირია მას თავის

დაქცეულ მეურნეობის რამდენათმე მაინც წამოსაყე-
ნებლათ.

მაგრამ სწორეთ აქ მოუვიდა მას მარცხი; ოქროს
თავის დანიშნულებისათვის მოხმარების უფლებას
არ აძლევენ. საყოველთაოთ მიღებული სარგებელიც
კი შეუჩერეს, სძვეს უძრავათ, როგორც მკვდარი კა-
პიტალი. საქმე იმაშია, რომ შეერთებულ შტატებ-
ში განსაკუთრებული კანონი იყო მიღებული, რომ-
ლის ძალით საბჭოთა ოქრო, სანამ ის მოხმარდებო-
დეს რამე საქმეს, ექვემდებარება ფინანსთა სამინის-
ტროს ერთგვარ ცენზურას. მან უნდა სთქვას, მართ-
ლა საბჭოებს ეკუთვნის ჩამოტანილი ოქრო თუ არა.
როგორც ხედავთ, ამ კანონს სარჩულად უძვეს შიში,
მოსკოვმა რამე ნაქურდალი არ შემოგვაპაროსო! მა-
გრამ როგორ ვინდათ გააჩიოთ ნაქურდი არანაქურ-
დისაგან? და ამიტომ კითხვა ერთი უწყებიდან მეო-
რეში გადადის გადასსურვლათ: ფინანსთა სამინისტრო-
როდან საგარეოში, აქედან იუსტიციის სამინისტრო-
ში და სხ. მოსკოვს თავისი ემართება, ცალკე ზარა-
ლი, ცალკე სირცხვილი, კრემლის ჯიელები გამოძიე-
ბაში არიან მიცემულნი, ქურდებია თუ არაო. ესეც
შენი «პროლეტარული» სახელმწიფო, გადაქიმიული
ხმელეთის მეექვსედნე!

სირცხვილი რაა, ან როდის შეშინებია ამის საბ-
ჭოთა მთავრობას? მთლათ წართმევა მოუნდომეს! სა-
ფრანგეთის ბანკმა დააღო ხელი! რუსეთის სახინაში
ჩემი ოქრო ინახებოდა—ამბობს ბანკი—, ბოლშევი-
კებმა ის მიიკუთვნეს და ამიტომ ეს ნ მილიონი დო-
ლარი ჩემიაო. ფრიად საინტერესო პროცესის მო-
ლოდინში არიან. ამერიკაც ხომ სოფდებია არ არის,
იქაც არის სამართალი, მაშ დავა სამსაჯულომ უნდა
გადასსურას.

მოსკოვი იხოკს პირს, ეს რა მომივიდაო. მისი
პრესა ამტკიცებს, ეს ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის
ინტრიგა არის, სურთ ნაყოფიერი სავაჭრო დამოკი-
ნებულება ჩვენსა და ამერიკას შორის ჩაუფშონო;
და იმედსაც გამოთქვამს ძალიან მოწიწებით, რომ
ამერიკის სამსაჯულო, რომლის «მიუდგომლობა
ცნობილია», ამას აბა როდი დაუშვებსო. ერთი საბუ-
თიც მოჰყავთ და მისი ავტორი გოსბანკის გამგეა,
შეინმანი, მოსკოვის ყოფილი ელჩი თფილისში, ჯერ
კიდევ დაუსჯელი თავის ავაზაკობისათვის. ეს ვაქბა-
ტონი ამბობს: ჩვენ ისევე გაგვავებს ოქრო, როგორც
ნავთი, არ შეიძლება გარჩევა არც ერთის, არც მეორის,
ე. ი. ვის რა ეკუთვნის აქედან, ვინაა პატრონი,
გარდა მოსკოვისა. ამით ის სწორათ აღნიშნავს იმ გა-
რემობას, რომ საფრანგეთი ყიდულობს მოსკოვის-
გან ნავთს, მაშ რა უფლებით ადებს ის ხელს ჩვენს
ოქროსო.

ჩვენ უნდა ვამცნოთ შეინმანს, რომ ნავთსაც
იგივე მოვლის, რაც ოქროს. ბაქო-გროზნის ყო-
ფილი მრეწველი მართლაც ფიქრობენ, რომ ყოველ
ფუთ ნავთს, რომელსაც იქიდან ჩამოიტანენ ევრო-
პაში გასაყიდათ, ისინი თავისად გამოაცხადებენ და
მოუხსობენ მოსკოვის მის მთავარ სავალიუტო სა-
ქონელს.



რ ა ს ხ წ ე ტ ე ნ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე მ ბ ე ჯ .

პოლონურ გაზ. «Kur. Poran.»-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ლონდონიდან ინგლისის მთავრობის მდგომარეობის შესახებ. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც დიდხანს ირყეოდა ბოლშევისა და ლ. ჯორჯს შორის, დღეს გადაჭრით გადახრილია მთავრობის მხარეზე. «ყველაფერი გვაძლევს საბუთს ვიწინასწარმეტყველოთ, რომ საზოგადო არჩევნებს ადგილი არ ექნება წელს, თუ არ მოხდა რამ მოულოდნელი გარემოება, რომელიც გამოიწვევს პარლამენტის დათხოვნას. ყოველ შემთხვევაში მომავალ არჩევნებიდან მთავრობის პარტია გამარჯვებული გამოვა და თუ ვერ მიიღო ახლანდელი დიდი უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში ისეთი უმრავლესობა ეყოლება, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის ხანგრძლივ არსებობას. არ გამართლებია საბჭოების ბატონების მოლოდინი, რომლებიც დიდს იმედს ამყარებენ ინგლისის ახლანდელ მთავრობის გამოცვლაზე. ჩვენ იმასაც ვიტყვი, რომ ისეთი მთავრობაც კი, რომელიც მუშათა პარტიის გავლენის ქვეშ იქნება, არ მოეპყრობა მოსკოვის მართვლებს უფრო რბილად, ვიდრე ახლანდელი მთავრობა. რაც არ უნდა მოხდეს, საბჭოთა რუსეთის იმედი არ გამართლებია, ესე იგი მისი დიპლომატიური წარმომადგენლები ვერ იხილავენ ლონდონს, ვიდრე მოსკოვი არ დაემორჩილება ინგლისის მძიმე მოთხოვნილებებს. ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტამ გამოიწვია მოსკოვის არეულობა და დასუსტება. ლონდონი ოდნავად არა ჰვიქრობს დაეხმაროს რუსეთს».

ფრანგმა კომუნისტმა, მწერალმა ბარბიუსმა შარშან რუსეთი მოიარა, საქართველოშიც იყო, ბევრი იმოგზაურა, დრო კარგად გაატარა, ჩვენი ბუნებითა და ხელოვნებით დიდად აღტაცებული იყო, რისთვისაც მადლობა და ქება უძღვნა ბოლშევიკებს. მთელი საბჭოთა სამფლობელო სავესეა პოლიტიკური ტუსაღებით, ათი ათასები იხრჩობიან და ლპებიან ჩეკის ჯურღმულებში, ინკვიზიციურ ტანჯვა-წამებას განიცდიან, გაუსამართლებლად ხვრეტენ უდანაშაულო ადამიანებს. ამ ზღვა სიბოროტემ და გამწარებამ ერთი ნამცეცი სიბრალული არ აღძრა კომუნისტ ბარბიუსში. მაგრამ დაბრუნდა თუ არა საფრანგეთში, დიდის მოწიწებით დაწერილი თხოვნა მიართვა იტალიის ელჩს და ესარჩლებოდა ვინმე სოცის, იტალიელ კომუნისტს, რომელსაც სცემეს ციხეში და გარდაიცვალაო. ბარბიუსი სთხოვს ელჩს, რომ დაინიშნოს საქმის გამოსაძიებლად კომისია «პატიოსან» პირებისაგან, განურჩევლად პარტიისა.

მოჰყავს რა ეს ცნობა, საფრანგეთის სინდიკატების (პროფ. კავშ.) გაზეთი Le peuple აღშფოთებით აღნიშნავს ბარბიუსის სიბეცეს და ფარისევლობას, რომ მან არ დაინახა ბოლშევიზმის უთვალავი მსხვერპლი და თავს იდებს ერთი სოცისთვის. გაზეთი ასეთავეებს თავის წერილს: «მხოლოდ მათ შეუძლიათ

აღიმაღლონ ხმა სიმართლისა და ცივილიზაციის დასაცავად, ვისაც არასოდეს შეუწირავთ ისინი პარტიულ ინტერესებისა და პოლიტიკურ ფანატიზმისათვის». და ურჩევს ფრანგ კომუნისტებს: «მიმოიხედეთ ბოლშევიკების სამფლობელოში, დაინახეთ, რა ხდება ციმბირში, რა ხდება სატუსალოებში, ოხრანა-ჩეკა-გეპეუს საპყრობილებში!»

რუსეთის დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობას დიდს ყურადღებას აქცევენ ევროპის გაზეთები. შესძლებენ თუ ვერა ბოლშევიკები წარმოების აღდგენას? ამ საკითხს ეხება ქ. სეიდუ ქენევის გაზეთ Pax-ში. მისი აზრით: «ყოველად შეუძლებელია ძლიერი ინდუსტრიის შექმნა რუსეთში. დიდი ინდუსტრია შეიქმნება რუსეთში მხოლოდ მაშინ, თუ ამ საქმეს ხელს მოკიდებენ უცხოელები; თვითონ რუსებს ეს არძალუბთ. ინდუსტრია რომ არსებობდეს—ამერიკელებმა ეს ნათლად გვიჩვენეს—საჭიროა, რომ მუშა იყოს დაინტერესებული არა მარტო კონტროლსა და საქმეების მართვაში, არამედ თავის შრომით და მუშის ხელფასის მაქსიმუმს უნდა ეთანხმებოდეს მოგების მაქსიმუმში. რუსეთში კი არის მინიმუმი ქირისა და მინიმუმი მოგებისა. საბჭოებს ღონიერი ინდუსტრიის მოწყობა უნდათ ერთი იმიტომ, რომ განთავისუფლდენ უცხოეთის იმპორტისაგან, მეორე იმიტომ, რომ სწავლიათ გამრავლონ მუშათა კლასის რიცხვი, რომელიც უხდა დაუპირდაპირდეს კონსერვატორ კლასს—ახლანდელ ბატონს გლეხობას.

უცხოეთის სახელმწიფოები კრედიტს თუ გაუხსნიან რუსეთს ინდუსტრიის მოსაწყობად, რომლის პატრონები არ იქნებიან მათი ქვეშევრდომნი, ეს იქნება სისულელე არა მარტო ეკონომიურის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურის, თვით ცივილიზაციის თვალსაზრისითაც. ისინი გაამაგრებდენ მხოლოდ საბჭოთა წყობილებას. მაგრამ საბჭოთა მთავრობა კრედიტს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ გააკეთებს საჭირო დათმობებს და პირველი დათმობა იქნებოდა მოსპობა კომუნისტურ წყობილების და პროპაგანდისა. ხოლო სრულიად არ ვფიქრობთ, რომ კომუნისტურ თეორიებიდან რამე დარჩა: საბჭოთა გაკოტრება სრულია, ცხადია, რომ მათ ვერ შექმნეს ვერაფერი ცოცხალი, და რასაკვირველია, არავინ მოინდომებს მათ მიზამდეს».

ბენდიერები არიან უცხოელი კომუნისტები, რომ რუსული არ იციანო, სწერს გაზ. Matin-ის თანამშრომელი korab, რომელიც კარგად იცნობს რუსეთის ამბებს: თორემ მარტო ის რომ წაიკითხონ, რასაც ბოლშევიკები სწერენ თავის თავზეო, სრულიად დაეკარგებოდათ კომუნიზმის და რუსეთის ყოველივე რწმენაო. korab ავიწერს მუშის მდგომარეობას «მუშათა სახელმწიფოში», ბოლშევიკური ცნობების მიხედვით: «არსად არ კვდება მუშა თავის სამუშაოზე იმდენი, რამდენიც რუსეთში. გასული წლის ოქტომბრის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ოფიციალ. კურნალში (შრომის ჰიგიენა) ვკითხულობთ, რომ 1926 წ. 10.000 რუს მუშაზე 1796 მსხვერპლი იყო

სხვადასხვა შემთხვევისა მუშაობის დროს. ამ რიცხვიდან 180 ადგილზევე იყო მოკლული და ბევრიც შემდეგში გარდაიცვალა. ასეთი მდგომარეობა თანდათან უარესდება. ხოლო სიკვდილი და დასახიჩრება მართლ არ უწერია მუშას. ამას ზედ ერთვის გადამეტებული შრომა, უშემელობა და უდროო მონუცებულობა. «რას უნდა მივაწეროთ, რომ ჩვენი ინდუსტრია ასე ნაკლებ მოგებას იძლევა? ჰკითხულობს შრომის კომისარიატის ორგანო (ვობროსი ტრუდა): რასაკვირველია მნიშვნელობა აქვს მოუწყობლობას. მაგრამ მთავარია ის, რომ ჩვენ ვამცირებთ. უკან ვაყენებთ კარგს მუშას და ვფარველობთ ცუდს. ვაცთენილ დღეების რიცხვი იზრდება, მუშები ლოთობენ და ავადმყოფობას იგონებენ». ამის შედეგია ის, რასაც აღნუსხავს «შრომის სტატისტიკის ბიურო», რომ შეგნებულ მუშა ხშირად მუშაობს დღეში 10 საათს ზარმაცის მაგიერ, რომელიც მისოდენვე ქირას იღებს და ამ ფულის შემწეობით თვეში 15 დღე ლოთობს. ყოფნის მაინც მუშას ხელფასი? ამის პასუხს გვაძლევს იგივე ბიურო. მუშის ხარჯები შეადგენს 47 მან. და 71 კაპ. თვეში, შემოსავალი კი: მისი ქირა 30 მან. 41 კაპ., მისი ცოლის 8-30 და დანარჩენი 9 მან. საკუთარი ნივთების დაგირავებისა ან გაყიდვისაგან. ამგვარად თუ მუშას არა აქვს რა გასაყიდი ან დასაგარავებელი, იძულებულია ნახევრად იმიომილოს. ცხადია ასეთი პირობები სრულს დაღუპვას უქადის მუშას და «შრომის ჰიგიენა» აღნიშნავს, რომ საბჭოთა 45 წლის მუშა უკვე გამოუხადებარია შრომისთვის. ის უნდა დაითხოვონ და პენსია დაუნიშნონ. მაგრამ სადღაა საპენსიო ფული? არსებობენ სინდიკატები, სხვადასხვა დამხმარე კასები, მაგრამ უსახსრონი არია, რაც აქვთ, კანცელარიებზე ხარჯავენ.»

ფრანგის სოციალისტების ორგანო Populaire ასე ახასიათებს დღევანდელ რუსეთს: «მთავრობა კრიტიკულ მდგომარეობაშია. გლეხები ებრძვიან ბოლშევიკების აგრარულ პოლიტიკას. ინდუსტრია განიცდის კრიზისს. არაა საყოფნი კაპიტალი არა თუ წარმოების განსავითარებლად, არამედ მისი დღევანდელ დონეზე შესაჩერებლად. არ არსებობს არავითარი იმედი სესხის მიღებისა უცხოეთში. ხალხი იწყებს იმის შეგნებას, რომ ყველა მისი უბედურება წარმოსდგება თვითონ მთავრობისა და მის პოლიტიკისაგან. აი ამიტომ «ალმოაჩინა» მთავრობამ შეთქმულება დონეცის რაიონში, რათა მცხოვრებთა გულისწყრომა გადაიტანოს სხვებზე. მაგრამ საუკეთესოა, რომ ამით თავიდან მოიხსნას პასუხისმგებლობა. შეთქმულთა შორის გერმანელი ინჟინრებიც არიან. ბერლინმა მოითხოვა მათი განთავისუფლება, მაგრამ უარი მიიღო. უუკველია ეს გავლენას მოახდენს რუსეთ-გერმანიის ურთიერთობაზე. უცხოელი კაპიტალისტები, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა გამუდმებით ემუდარება, უფრო გადაჭრით ეტყვიან უარს დახმარებისათვის. და რუსეთის ფინანსიური ბლოკადა უფრო გაძლიერდება.»

საქართველი ბოძეკი.

სოციალისტურ ინტერნაციონალის სხდომა ციურისში, თებერვლის დამლევს, უაღრესი მნიშვნელობის იყო ჩვენთვის. განიარაღების კითხვის განხილვის დროს ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ერთმა წევრმა კერკუდმა ქებით მოიხსენია მოსკოვის მიერ ქენევაში წარდგენილი პროექტი ამ საგანზე და საბჭოთა მთავრობა მშვიდობიანობის მსურველად დამცველად დასახა. როცა მას შენიშნა რუსეთის სოც.-დემ. აბრამოვიჩმა, რომ საქართველოს მაგალითი წინააღმდეგ ამტკიცებს. კერკუდმა უპასუხა: საქართველოს მუშებმა თვითონ მოიწვიეს რუსეთის მუშები დასახმარებლად, რადგან ინგლისის ემუქრებოდათ, ამიტომ ეს იყო თავდაცვა და არა თავდასხმა. მაშინ საქართველოს წარმომადგენელმა ირ. წერეთელმა წარმოთქვა ფრიად საყურადღებო სიტყვა, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და ორატორი და მის მიერ წარმოდგენილი ჩვენი ქვეყანა ხანგრძლივი დეკაციების საგანი გახდნენ. პენდერსონის წინადადებით ეგზეკუტივმა დაადგინა სიტყვა სამ ენაზე გამოიცეს და გავრცელდეს.

ირ. წერეთელს არც ერთი ზოგადი ფრაზა არ უხმარია. ემყარებოდა ფაქტებს თვით ბოლშევიკების წყაროებიდან და მათი დალაგებულთა გადაშლით მიღწეა უდიდეს ეფექტს. მთავარი წყარო, საიდანაც ის კრებდა ამ ფაქტებს, იყო კომუნისტ ვ. ლოშინაძის ანგარიში. რომელიც მას წარუდგენია, როგორც მდივანს, საქ. კომუნისტ. პარტიის ყრილობისთვის 1924 წ. და ფართე მასებისთვის სრულიად მიუწოდებელი იყო. ანგარიშიდან წაკითხული ადგილები ააშკარავებს ბრმებისთვისაც, რომ რუსებმა ხიშტებით დაიკავეს საქართველო, ქართველი კომუნისტები არაარაობას წარმოადგენდნენ იმ დროს, მშრომელი მასა ებრძოდა მოძალადეთ, ის იყო სოც.-დემ. პარტიის გავლენის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლება მიმართავდა რევრესიებს და სხ. რაც უფლებს ვითომ ინგლისის იმპერიალიზმის საშიშროებას, ირ. წერეთელმა წაიკითხა ჩიხერინის განცხადება თფილისში 1925 წ., რომ ლოიდ ჯორჯის მთავრობა არ ფიქრობდა სულაც ჩვენზე თავდასხმას და, პირიქით, რუსეთს უთმობდა საქართველოზე გაბატონებას.

ირ. წერეთელმა არ დაივიწყა, რა თქმა უნდა, ადენიშნა ისიც, რომ კერკუდის აზრს საქართველოს შესახებ არ იზიარებდნენ ინტერნაციონალი და მისი სექციები; მან მხოლოდ ისარგებლა ამ დაბნეულ სოციალისტის ბრიყვულ გამოსვლით, რომ ერთხელ კიდევ მიეკრა სამარცხვინო ბოძხედ მოსკოვის მტარვალთა გაუგონარი სიფლიდე და სიმხეცე ჩვენი სამშობლოს მიმართ.

ქართული უნივერსიტეტის დღესასწაული.

26 იანვარს შესრულდა მეათე წლის თავი დღიდან ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა თბილისში. ამ დღის აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო კრება პარნიში, 19 თებერვალს, კუფრუას დარბაზში.

კრებას დაესწრო დიდძალი ხალხი; ბევრი იყო ქართველობა, უფრო ბევრი—ჩვენი მეგობარი ფრანგები, წარმომადგენლები პრესის და პოლიტიკისა; დაესწრნენ აგრეთვე წარმომადგენლები ჩვენი მეზობელ ქვეყნების უკრაინის, აზერბეიჯანის, სომხეთის და ჩრდილო კავკასიისა. კრება გახსნა საქართველოს ელჩმა, ბ. ა. ჩხენკელმა და თავის სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა:

«საქართველო მთელი საუკუნის განმავლობაში, რაც ის იტანჯებოდა რუსეთის ბატონობის ქვეშ, არამც თუ იყო მოკლებული ყოველ იმედს შეექმნა თავისი უნივერსიტეტი, არამედ იძულებულიც კი გახდა დაეხურა ის უმაღლესი სკოლებიც, რომლებიც იმას ჰქონდა უწინ, რუსეთის შემოჭრამდე... აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის გახსნა წინ უსწრობდა ოთხი თვით დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეროვნულ საბჭომ სასურველად დაინახა გამოეცხადებინა ჯერ სუვერენობა გონების და მერე პოლიტიკური სუვერენობა».

ეს მცირე, მაგრამ საგულისხმო განცხადება გამოდგა მთელი პროგრამა. მან გააფართოვა საკითხი. საინტერესო გახდა გავვეცნო, თუ როგორი იყო სახალხო განათლება საქართველოში. წარსულ ხანებში, და რა ყოფაშია ის ესლა. პირველი საკითხი გააშუქა პროფ. ექ. თაყაიშვილმა, მეორეზე პასუხი მოგვცა მ. ხუნდაძემ.

პროფ. თაყაიშვილის მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქნა ფრანგულათ ბ. ი. დადიშკელიანის მიერ, მეტად ვრცელია და მეტად შინაარსიანი, რომ შესაძლებელი იყოს აქ მისი გადმოცემა. ყველამ კარგად იცის, თუ რა მაღალ დონეზე იდგა განათლება საქართველოში თამარ-მეფის და რუსთაველის დროს, თუ რა დიდი როლი ითამაშეს ქართულ მონასტრებმა სირიაში, პალესტინაში, სინას მთაზე, მაკედონიაში (ათონი) და ბულგარიაში (პეტრიწონი); მაგრამ შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ მე-12 საუკუნიდან ვიდრე 17-მდე, ე. ი. ხუთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა ორი აკადემია—გელათში და იყალთოში, ორივე მშვენივრად მოწყობილი; ორივე იყო განათლების ცენტრი და არაფრით ჩამოუვარდებოდნენ საბერძნეთის უმაღლეს სკოლებს. დიდი იყო აგრეთვე მოღვაწეობა ვახტანგ მე-VI და ირაკლი მე-II. რუსეთის შემოჭრამ მოსპო სწორედ ორი უმაღლესი სკოლა, თბილისში და თელავში. იმედი ევაკვს, ბ. თაყაიშვილის მოხსენება მთლიანად დაიბეჭდება ამ მოკლე დროში.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბ. აბელ შევალიემ, საფრანგეთის ყოფილმა მინისტრმა და უმაღლეს კომისარმა კავკასიაში. მან მოაგონა საზოგადოებას საქა-

რთველს გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის და სიამოვნებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლის დროსაც კი საქართველოს არ ავიწყდებოდა უმაღლესი ინტერესი ცოდნის და კულტურული წინსვლელობისა; დააარსა უნივერსიტეტი და მოკლე დროში მოაწყო ისე, რომ არ ჩამოუვარდებოდა ბევრს რუსეთის უნივერსიტეტსაო. სამწუხაროდ, ვერაგულ თავდასხმამ რუსეთის მხრივ კვლავ ჩააქრო ეს სახელგანთლებისაო. ბ. შევალიეს მსურველ სიტყვამ გამოიწვია ერთსულოვანი ტაში.

მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ბ. მ. ხუნდაძემ. მისი სიგანი იყო დასურათება იმ ეროვნულ ალტაცების, რომელიც გამოიწვია ხალხში ქართულ უნივერსიტეტის დაარსებამ, და იმ მწუხარების, რომელიც მოჰყვა ხელახლად რუსეთის შემოჭრას საქართველოში. ორატორმა ნათლად დაუხატა საზოგადოებას ის ტრადიციული მდგომარეობა, რომელსაც განიცდის ქართველი ახალგაზრდა ბოლშევიკური რეჟიმის ქვეშ, და ის იმედები, რომელიც ასულდგმულებს ამ ახალგაზრდას.

ქართველთ ასოციაციის თავმჯდომარემ, ბ. დამბაშიძემ, მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას და ამით გათავდა კრება.

დიდი მადლობის ღირსია ქ-ბ. გობეჩიასი, რომელმაც იკისრა და მშვენივრად მოაწყო მუნიკალური ნაწილი დღეობისა, ქართული ჰიმნი და განსაკუთრებით ცნობილი კონტრეტი ცეზარ ფრანკისა მშვენივრად იყო შესრულებული. ქ-ბ. გობეჩიას დასრულებული აქვს პირველ ხარისხით ბრიუსელის კონსერვატორია და ჰზიბლავს მსმენელს თავის დაკვირვით ვიოლონზე და მუსიკალური ხელოვნებით.

დამსწრე.

წერტილი ვარშავიდან.

ამა წლის 26 თებერვალს ქ. ვარშავაში მოხდა პოლონეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა (ქართული კოლონიის) წლიური საზოგადო კრება.


კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. როსტომ ყაზბეგი; მდივნათ კოტე იმნაძე.

კოლონიის გამგეობის მიერ წარმოდგენილ იქნა და კრების მიერ მიღებული შემდეგი დღის წესრიგი:

- 1) გამგეობის მოხსენება კულტურულ-პროპაგანდული მუშაობის და წლიური ანგარიშების შესახებ.
- 2) სარევიზო კომისიის მოხსენება.
- 3) სხვა და სხვა კითხვები.
- 4) არჩევნები.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი იოსებ სალაყაია, რომელიც ეხება ეროვნულ საქმის სასარგებლოდ გამგეობის მიერ გაწეულ პროპაგანდას, სხვა და სხვა წიგნების შექმნას, ქართული გაზეთების (პარიზის) გავრცელებას, საღამოების და აკადემიების მოწყობას, რაც პროპაგანდასთან ერთად ფრიად მოზრდილ თანხას უტოვებს გამგეობას და სხვ.

გასული წლის მისში გამართულ საღამოს წმინდა შემოსავალი დაუტოვებია 701 ზლოტი და 39



გროში. მიმდინარე წლის 14 იანვრის (ნინოობას) ტრადიციულ საღამოდან წმინდა შემოსავალი დარჩენილა 8.773 ზლოტი. ასეთი დიდი თანხით საღამოს დასრულება, მაშინ, როდესაც წინა გამგეობა საღამოს დეფიციტით ასრულებდა, უეჭველია მიეწერება გამგეობის და განსაკუთრებით მის თავმჯდომარის ფხიან და უნარიან მუშაობას. ცხადია თავმჯდომარე და მასთან გამგეობა ვერას გახდებოდა, რომ მას გვერდში არ ამოსდგომოდა პოლონეთის საზოგადოება და ამ უკანასკნელის განუზომელი სიმპატია ქართველი ერის ბედისადმი. ამ სტრიქონების დამწერს საშვალეობა მიეცა დასწრებლად ამ უკანასკნელ საღამოს, რომელიც გამართულ იქნა ქალაქის თვითმართველობის უზარმაზარ დარბაზებში, რაცა თვითმართველობამ უფასოთ დაუთმო გამგეობას.

საღამომ შინაარსიანათ და მხიარულათ ჩაიარა. ევროპიულ მუსიკასთან ერთად, ეროვნული მუსიკაცეკვით ეროვნულ ტანსაცმელში დიდ ფურორს და ავაციებს იწვევდა. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ვარშავის ოპერის ბალეტის მოცეკვავე ქალის (პოლონ. ეროვნულ ტანსაცმელში) და ქართველის (ჩოხახალაში) ლეკურის ერთად ცეკვამ. აღსანიშნავია აგრეთვე სახელოვანი მომღერალის (მღერის ვარშავის ოპერაში—ბარიტონი) ჩვენი თანამემამულე ბ-ნი გიორგი სინარულიძის გამოსვლები. ამ მომღერლის ზედმიწევნით ნახს და ფრიალ საამურ მოსასმენ ხმას თან ახლავს განუზომელი სიმძლავრე, რაც საღამოზე დამსწრე ქართველებს ბუნებრივ სიამაყეს გვრიდა. ბ-ნი სინარულიძე განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდება ჩვენს ეროვნულ სტამბებს და საშვალეობას არ უშვებს, რითაც კი შეუძლია, ხელი შეუწყოს.

ვარშავაში გამართულს არც ერთ საღამო-ბალს არ დასწრებია ასეთი დიდძალი საზოგადოება, რაც დაესწრო ქართულ საღამოს. დარბაზებში ტევა არ იყო. ვარშავას რამოდენიმე დღის განმავლობაში ქართული საღამო ეკერა პირზე: მომავალში ქართველებმა მოკოტოვზე (აეროდრომზე) უნდა გამართონ საღამოვო. სტუმრებს შორის იყვნენ პრემიერ მინისტრის მონადილე ბ-ნ ბარტელი და სამინისტროების წარმომადგენელნი. აგრეთვე დაესწრნ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

მე ნება მივეცი ჩემ თავს გაკვირით შევხებოდი ქართულ საღამოს. დაუბრუნდეთ გამგეობის მოხსენებას.

ბ-ნი სალაყაია ეხება აგრეთვე გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის პოლონეთის განყოფილების დაარსების კითხვას. აღნიშნულ კომიტეტში შედიან პოლონეთის გამოჩენილი მოღვაწენი როგორც სამწერლო თუ საზოგადოებრივ აგრეთვე პოლიტიკურ სფეროში. აცნობს კრებას მათ სათანადო მოწოდებას პოლონეთის საზოგადოებისადმი. აღნუსხავს აგრეთვე სხვადასხვა პირთათვის დახმარების გაწევას, ოსმალეთში ჩვენ ემიგრანტთა უმწეო მდგომარეობას და მათთვის დახმარების გაწევის აუცილებლობას, რითაც ასრულებს თავის შინაარსიან მოხსენებას. სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ კრება ოვაციას უმართავს გამგეობას და იწონებს მის მოქმედე-

ბას. მთელი წლის შემოსავალი ადის 30.000 ზლოტამდე.

წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შემდეგ, კრება ირჩევს ახალ გამგეობას:

- 1) იოსებ სალაყაია, 2) გიორგი სინარულიძე, 3) პროკოფი აბულაძე, 4) იოსებ ჩეჩელაშვილი, 5) როსტომ ყაზბეგი. სარევიზიო კომისიაში: 1) ქ-ნი კვიციანიძისა, 2) გიორგი იხჯია და 3) ბ. ლორთქიფანიძე.

დასასრულ ბ. ათბეგიშვილის წინადადებით კრება ავაციით ედებულბს: პრეზიდიუმი მიესალმოს კრების სახელით ეროვნ. თავმჯ. ბ. ნოე ქორდანაის 60 წლის შესრულების გამო. შემდეგ კრება იხსურება.

კახაბერი.

გულითად მადლობას ვსწირავ ყველა მათ, რომელთაც საჭიროთ დაინახეს პირადათ თუ წერილობით ჩემთვის მოელოცათ ჩემი დაბადების სამოცი წლის დღე.

ნ. ქორდანია.

ქართველები გერმანიაში.

გერმანიაში მყოფმა ქართველმა მწერლებმა გამოჩენილ გერმანელ მწერალს ჰაუბტმანს 65 წლის თავზე მილოცვა გაუზღვენს და პასუხად შემდეგი წერილი მიიღეს:

ქუშმარიტად პატივნაცემი იმ თბილ კავშირის გაბმით, რომელიც თქვენს მოლოცვაში ასეთ ცოცხალ ფორმებს იღებს, გულითად მადლობას გიძღვნი.

ადამიანთა და ერთა ტანჯვა კაცობრიობის ისტორიის აუცილებელი დამატებაა და მისგან განთავისუფლება შეიძლება წინააღმდეგობით და ჩვენი სულის იმ ძლიერებით, რომელიც იდეალსა ჰქმნის.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ტანჯვის დაღები კაცობრიობის წინსვლის ისტორიაში ის მტკიცე საფუძველია, რომელზედაც დიადი მომავალი უნდა აღმოცენდეს,—და ეს რწმენა, ვალდებულება ამ რწმენისა, შეიძლება, ჩვენი უძვირფასესი ქონება იყოს.

ულრმესი პატივისცემით ჰერმარტ ჰაუბტმანი.

უკრაინული საღამო.

უკრაინის უდიდესი ეროვნული პოეტის და მამულიშვილის შევჩენკოს დაბადების 114 წ. და გარდაცვალების 67 წ. თავის აღსანიშნავად უკრაინელთა გრომდა შაბათს მარტის 31 საღამოს 8-30 მართავს კონცერტს საღამოს (14, rue Trévisé, მეტრო Cadet). მონაწილეობას იღებენ უკრაინული სორო და სოლისტები. შესასვლელი ფასი სუთი ფრანკი.

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Le Gérant : LAGILIERE.